საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარეთო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 23 ნოემბერი, 1919 წ.

ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი დგება 1 თვით 50 მანეთად, ცალკე ნომერი ექვსგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, [illegible] გვერდზე, ისე მეოთხეზე, ბეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. საბჭოთა განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნახევა განცხადებები არ დაიბეჭდება. [illegible] და კანტორის ადგილი: რუსთაველის ხ. № 26.

ტელეფონი 16—62.

№ 288 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 263

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: გიორგი, იოსები, ნიკოლოზ და მიხეილი; რძლები: ნინა, მარო, თამარ და ნინა თამაზაშვილები შვილებითურთ, და—მართა და სიძე ტატო სიმონიშვილი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ამხანაგებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი და საყვარელი დედა

მარგარეტ თამაზაშვილი

გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან კვირას, 23 ნოემბერს, დილის 9 საათზე კალოუბნის ეკლესიაში, დასაფლავება ამავე დღეს, პეტრე პავლეს ეკლესიის სასაფლაოზე. (უფ. 2—2)

კვირას, 23 ნოემბერს, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში (ვერაზე) გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

ნინო სეფეს ასულის ჯაფარიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ შვილები: ვასილ და კონსტანტინე იოსების ძე ჯაფარიძეები ცოლშვილით და სოფიო იოსების ასული წერეთლისა ქმარშვილით.

(3071 1—1)

ინჟენერი მირიან გიორგის ძე ჯაში აუწყებს ნათესავთ და მეგობრებს, რომ სამშაბათს 25 ნოემბერს საყვარელ დაუვიწყარ დედის

ნინო ზურაგის ასულის ჯაფის

გარდაცვალების წლის თავზე გადახდილი იქნება წირვა წმ. ნინოს ეკლესიაში და პანაშვიდი განსვენებულის სასაფლაოზე იმავე ეკლესიის გალავანში (3068 2—1)

ევა დიმიტრის ასული ლოლაძე, ღრმად დამწუხრებული დედა ლიზა სოსანაშვილი, მეუღლე ვანო ლოლაძე და შვილები: ნინა, ვარა და ეკა, მაზლები: ერმილი და კაპიტონ ლოლაძე ვაუწყებთ ყველა ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ორშაბათს, 24 გიორგობის თვეს, გვაქვს წლის წირვა და ძეგლის კურთხევა ვკირფას

ევა დიმიტრის ასული ლოლაძის

ხსოვნის აღ[illegible]ნიშნავად. წირვა გადახდილ იქნება წმ. ნინოს ეკლესიაში. (3073—1—1)

გამოვიდა და იყიდება ლ. ა. ი[illegible]ის წიგნი

მუშათა მოძრაობა და ინგლისის სახელმწიფოებრივი განვითარება

მე-XVIII საუკ. მეორე ნახ. და XIX საუკ.

[illegible]ცემა თფილისის სახალხო უნივერსიტეტისა, საწყობი: ალექსანდროვის პრ. 123 [illegible]ალხო უნივერსიტეტი, ბითუმათ ყიდვის დროს შეღავათი. (2034 3—2)

სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა

[illegible]ით აცხადებს, რომ ამა წლის 6 დეკემბერს დანიშნულია სენაკის სამაზრო

ერობის ხმოსანთა ყრილობა

[illegible]ლობა გაიხსნება ქ. ახალ-სენაკში, გამგეობის კანცელარიის შენობაში დილის [illegible]ათზე. გასარჩევი საკითხები: 1) გამგეობის მოხსენებანი, 2) მოხსენება სარ[illegible]ო კომისიის, 3) 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება. [illegible]ანიტარული გადასახადი, 5) სესხი. 6) ერობის ბანკის დაარსება, 7) მიმდინარე საკითხები.

(3072 2—1) სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა.

ეკონომიური პოლიტიკა

[illegible]ენს რესპუბლიკას სოციალისტები[illegible]ას სათავეში. ეს ნიშნავს, რომ ჩვენს [illegible]უბლიკას განაგებს უპირველეს ყოვ[illegible] სურვილი და ნება მშრომელი [illegible]ებისა, ქალაქის მუშების და სოფლის [illegible]ების, რომელნიც თავის ოფლით [illegible]ან ქვეყნის სიმდიდრეს, მაგრამ ამავე [illegible]ს ეკონომიურათ უდიდეს გაჭირვე[illegible]ანიცდიან. აქ იკვანძება ერთგვარი [illegible]აღმდეგობა პოლიტიკურ ბატონო[illegible] და ეკონომიურ მდგომარეობის [illegible]ის, რომელიც გადაჭრას თხოულობს. [illegible]ვადაჭრა კი შეიძლება ან პოლიტი[illegible] ბატონობის მუშათა კლასის მიერ [illegible]ურგვით და ან ეკონომიურათაც მათი [illegible]ტონებით, ე. ი. თანამედროვე წყო[illegible]ების გარდაქმნით. სხვა გზა არ არის. [illegible]ი სოციალისტები ყველა ჯერის და [illegible]ინარეობის ერთნაირათ აზროვნებენ [illegible]ველანი ცდილობენ საკითხი მუშათა [illegible]ნმიურ განთავისუფლებით გადა[illegible]ათ. მაგრამ როგორ უნდა მივაღ[illegible]ათ მიზანს? როგორ განვახორციე[illegible]თ ეს იდეალი საზოგადოებრივ მძიმე [illegible]აღმდეგობის გაუქმებისა და ჰარმო[illegible]ლი განვითარების მიღწევისა, ე. ი. [illegible]ციალისტური წყობილების დამყარების? [illegible] აქ იწყება განსხვავება და ბრძოლა [illegible], საშუალების შესახებ.

[illegible]ალშევიკები და ჩვენი მობალშევიკო[illegible]ები, რომელთაც აერთებს უტო[illegible]ი და იდეალისტური წარმოდგენა [illegible]ვრებაზე, ფიქრობენ, რომ ეკონო[illegible]ი მსვლელობა მხედველობაში მი[illegible]ები არაა, რომ საკმაოა მო[illegible]ება მტკიცე ნებისყოფის გამოჩენა და [illegible]ვანდელი კლასიური საზოგადო[illegible] დაუყონებლივ ან დიდის სისწრა[illegible] გადავა—სოც. წყობილებაში. საჭიროა მხოლოდ ეხლავე შევადგინოთ სოციალისტური გეგმები წარმოებისა და ჩვენ ელვის სისწრაფით საქართველოს გადავქმნით სოციალისტურ ოაზისათ ბურჟუაზიულ ევროპისა და ნახევრათ ველურ აზიის შესართავში.

ასეთ ოცნებას მეორე მხრით ჩვენი ბურჟუაზიული წრეები უპირდაპირებენ „რეალურ პოლიტიკას“, რომელიც შემდეგში გამოიხატება. მიეცით გზა თავისუფალი კერძო ვაჭარ მრეწველთა საქმიანობას, ჩაამარეთ მათ საქე ცხოვრებისა, და თქვენ იხილავთ საკუთარი თვალებით, როგორ აყვავდება ქვეყანა სპეკულიანტთა ვარდ ყვავილებით შემკობილი.

ამ რიგათ ერთნი თხოულობენ დაუყონებლივ მუშათა ეკონომიურ განთავისუფლებას შევუდგეთ, ე. ი. სოციალიზმის პირდაპირ განხორციელებას ახლავე შევუდგეთ მათი გეგმების თანახმათ, ხოლო მეორენი მიისწრაფიან პოლიტიკურ ბატონობაზე ხელი ავიღოთ და ეკონომიურ ბატონს პოლიტიკური საქე ცხოვრებისა ჩავაბაროთ, რომ იგი უფრო გაძლიერდეს და მოღონიერდეს.

ჩვენ, როგორც მეცნიერული სოციალიზმის მიმდევარნი, წინააღმდეგნი ვართ ერთისაც და მეორისაც. ოცნებათა სამეფოში ფრენას და „ლამაზი გეგმებით“ თავის მოტყუებას გადაგვაჩვია ჩვენ მატერიალისტურმა მსოფლმხედველობამ, რომელიც გვირჩევს ცხოვრების განვითარების მამოძრავებელი ღერძი თვით მის წიაღში ვეძიოთ და არა საოცნებო გეგმებში. მეორე მხრით, იგივე მეცნიერული სოციალიზმის კლასიური პოლიტიკა—კლასიური იდეოლოგია, აშკარათ გვეუბნება, რომ სახელმწიფო თუმცა მთელი საზოგადოების შემაკავშირებელი აპარატია, მაგრამ იმავე დროს პირველ ყოვლისა და უმთავრესათ იმ კლასს ემსახურება, რომელიც მას უდგია სათავეში. ეს მეცნიერება გვასწავლის, რომ ეს აპარატი მდიდრების ხელში მეტად ძლიერი იარაღია მუშათა დასაჩაგრავათ და ამ აპარატის ჩამორთმევით და შითვისებით მუშათა კლასი იადვილებს ბრძოლას მომავლისათვის. ცხადია, ჩვენ ვერც მემარჯვენე სირენების ტკბილ სიმღერას გავყვებით. ჩვენ ვიცით, რომ მათი აყვავებული ცხოვრება, მუშებისათვის ჯოჯოხეთათ იქცევა, სურნელება—შხამთ; თუ მუშათა კლასს თვით არ ექნა ხელში მძლავრი იარაღი მათი ამ ტენდენციების საწინააღმდეგოთ და შესამუსრავათ.

ამიტომ ჩვენ სულ სხვა გზით ვუდგებით ქვეყნის განვითარების საკითხს. ცნობილია, რომ მუშათა განთავისუფლება შეიძლება მოხდეს მხოლოდ წარმოების განვითარების ნიადაგზე და არა დამხობის. უდავო ჭეშმარიტებაა ისიც, რომ დღევანდელ კლასიურ წყობილებაშიაც მუშათა მდგომარეობა უმჯობესია მაშინ, როცა საწარმოვო ძალთა განვითარება სწრაფი ნაბიჯით მიექანება წინ, ვიდრე მაშინ, როცა იგი შეფერხებულია.

ამ რიგათ ეკონომიური ცხოვრების პირობები და თვით მუშათა ინტერესი გვიკარნახებს ერთსა და იმავეს—ხელი შევუწყოთ მრეწველობის განვითარებას და ამ განვითარებს პროცესში დაეიცვათ მუშათა კლასი კაპიტალიზმის იმ გამანადგურებელი გავლენისაგან, რომელიც ყოველ მხრივ უარყოფით მხარეს წარმოადგენს საზოგადოებრივი პროგრესისათვის.

წარმოების განვითარება და მუშათა კლასი არ უპირდაპირდება ერთმანეთს, მაგრამ მრეწველების უძირო მადა და კლასობრივი ჩაგვრის სურვილი კი ყოველთვის ეწინააღმდეგება ერთსაც და მეორესაც. იგი წარმოებასაც აფერხებს და მუშებსაც სტანჯავს.

აქედან ჩვენი ეკონომიური პოლიტიკაც აშკარა და ნათელია, პოლიტიკური ბატონობის ხელში ჩაგდება მუშათა კლასის და გლეხობის შეერთებული ძალით, ეს წარმოადგენს კიდევ მუშათა კლასიურ დიქტატურას, იგი მხოლოდ შეიძლება გახდეს მისი წინამორბედი. ამ პოლიტიკური ბატონობით სოციალიზმი კიდევ არ განხორციელდება. ამით შეიძლება მხოლოდ საუკეთესო პირობების მომზადება სოციალიზმის განსახორციელებლათ. და ეს მომზადება ხდება, ვიმეორებთ, საწარმოვო ძალთა განვითარების ნიადაგზე.

აქედან გამომდინარეობს ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა. ჩვენ ხელს ვუწყობთ ყოველ წარმოებას და ყოველ მწარმოებელს, როგორც საზოგადოებრივათ, ისე კერძოთ დაწყებულს, როცა იგი განვითარებას, ქვეყნის სიმდიდრის შექმნას ემსახურება. ჩვენ ვებრძვით, ვგმობთ მას, როცა იგი მუშათა დაბეჩავებას ისახავს მიზნათ.

კერძო ინიციატივა, კერძო წარმოება და საზოგადოებრივი, კოოპერატიული, ამ მხრივ თანაბარ პირობებში უნდა იქნეს ჩაყენებული. მუშათა ინტერესების დაცვის მხრივ საზოგადოებრივი წარმოება უფრო საიმედოა. კოოპერატივები და თვითმართველობანი, როგორც დემოკრატიული წიაღიდან წარმოშობილნი, შრომის ინტერესებს უფრო მეტი ყურადღებით ეპყრობიან. მაგრამ დღეს მარტო მათი საშუალებით მხოლოდ მათ სამარა—საწარმოვო ძალთა განვითარება იმ სისწრაფით ვერ წავა, როგორც საზოგადოებრივ მოთხოვნილების მიხედვით საჭირო და აუცილებელია. ცხადია, კერძო ინიციატივასაც უნდა ადგილი მიეცეს, უნდა ფართო ასპარეზი დაეთმოს, მას დიდი და მრავალი საქმის გაკეთება და გაძღოლა შეუძლია. მათი შეფერხებით, ჩვენ თვით მუშებს უმუშევრათ ვაქცევდით, და ამით საზოგადოებას შრომა მოაკლდებოდა, ხოლო მათ ცხოვრების საღსარი. ჩვენ არ შეგვიძლია მხოლოდ სრული თავისუფლება მივსცეთ კერძო ვაჭარს გინდ საზოგადოებრივ წარმოების მუშათა გაყვლეფს. მით უმეტეს, რომ ეს ტენდენციაც ასეთივე დამღუპველია. მუშათა კლასის ინტერესი ამ შეთხვევაში—მოითხოვს რა შრომის დაცვას, ამით საესებით უთანხმდება საზოგადოებრივ დემოკრატიულ ცხოვრების განვითარების ინტერესებს.

სოციალიზმი არ არის ისეთი წყობილება, რომელიც ქვეყნის დამხობას მოითხოვს, პირიქით იგი გამდიდრების და გაუმჯობესების მომასწავებელია, გამდიდრებას და გაუმჯობესობაზე ეყრდნობა, და ამიტომ ჩვენ არ გვეშინია კერძო მრეწველების, პირიქით ჩვენ დღეს დიდათ სასარგებლოთ მიგვაჩნია მისი განვითარება, სწორეთ მუშათა კლასის თვალსაზრისით და მათი ინტერესების მიხედვით, რომელიც ვიმეორებ, არის იმავე დროს ინტერესი მთელი საზოგადოებრივი წინმსვლელობის. სწორეთ ამიტომ ჩვენი დემოკრატიული მართველობა ებრძვის არა კერძო მრეწველთა ინიციატივას, არამედ მათ უინიციატივობას, არა მათ საწარმოვო უნარს, არამედ ამ უნარის სასპეკულიაციოთ მიმართვას, არა სიმდიდრის შექმნას, არამედ უკვე შექმნილის ხელიდან ხელში ტრიალს, იმავე სპეკულიატური მიზნებით.

ვისაც უნდა, რომ ჩვენ ხელიდან პოლიტიკური ძალა გამოგვაცალოს, მას სურს არა ჯანსაღი ეკონომიური ატმოსფერა გაამატონოს, არამედ სპეკულიაცია კანონმდებლათ დაგვისვას. ვინც ჩვენი მრეწველობის დაუყონებლივ სოციალიზაციას მოითხოვს, მას, სჩანს, თავის სიზმარი სცხადდეთ მოჩვენებია და ვერ დაუნახავს, რომ ჩვენი უბედურება წარმოების განუვითარებლობაა და არა მისი სიჭარბე. სოციალდემოკრატიისთვის და მუშათა კლასისთვის კი მხოლოდ ის პოლიტიკაა მისაღები, რომელიც ცხოვრების პირობებს სავსებით ეგუება და რომელსაც მომავალ საზოგადოებისკენ, სოციალიზმისკენაც უტყუარი ნაბიჯით მივყევართ. ესაა პოლიტიკა საწარმოვო ძალთა განვითარების—და მუშათა ინტერესების დაცვის ყველა იმ პოლიტიკური, თუ სხვა საშუალებებით, რომელნიც რევოლიუციამ მოგვანიჭა.

არჩევნების შედეგი საფრანგეთ-იტალიაში

იტალიის პარლამენტში არჩევნები დასრულდა. გამართლდა ჩვენი პროგნოზი. ნაციონალისტური პარტია სასტიკად დამარცხდა. სოციალისტებმა ასი ახალი დეპუტატი გაიყვანეს. ახალ პარლამენტში მათ ეყოლებათ 138 დეპუტატი და ამ ნაირად ის ხდება უდიდესი ფრაქციათ და გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება, როგორც შინაურ, ისე საგარეო პოლიტიკაში. ჩვენ ჯერ არ ვიცით, რა ძალას წარმოადგენს ახალ პარლამენტში რადიკალურ რესპუბლიკანური პარტია. უნდა ვიფიქროთ, რომ მასაც საკმაო ძალა ეყოლება. ჩვენ ვიცით, რომ იტალია წინააღმდეგია დამარცხებულ სახელმწიფოების განადგურებისა. ვიცით ისიც, რომ მისი ბურჟუაზიის ერთი ნაწილი ჯიოლიტის მეთაურობით ისევ გერმანიასთან კავშირზედ ოცნებობს. შესაძლებელია იტალია-ავსტრია-გერმანიამ დაიწყოს ახალი გზის ძებნა თავიანთი ურთიერთობის ახალ ნიადაგზე დასაყენებლად. ამ მხრივ ვერსალის ხელშეკრულობას ხიფათი მოელის.

საფრანგეთის პარლამენტის არჩევნები სოციალისტების და საერთოდ ოპოზიციის დამარცხებით გათავდა. ამის მიზეზების სავსებით გათვალისწინება ჩვენთვის დღეს დღეობით ძნელია მასალის უქონლობის გამო. იმ ცნობებით კი, რაც მოგვეპოვება, შეიძლება ითქვას, რომ უმთავრესი მიზეზი არის გერმანიის ჯარის მიერ 9 დეპარტამენტის (გუბერნიის) განადგურება. ჩრდილოეთ საფრანგეთი წარმოადგენდა ომამდის დიდ სამრეწველო ცენტრს და ფრანგულ სოციალიზმის აკვანთ ითვლებოდა. სწორედ ეს მხარე სრულებით გაანადგურა ომმა. ის ლიბერალურ-კონსერვატიული პარტიები, რომელიც პირდებოდა ხალხს ზარალის ანაზღაურებას გერმანიის ხარჯით, ცხადია მეტ ხმებს მოიკრეფდა, ვიდრე სოც. პარტია, რომელიც წინააღმდეგია გერმანიის ეკონომიურად განადგურების. მეორე მხრივ, საფრანგეთის წვრილი ბურჟუაზია, რომელსაც კიდობანში უწყვია რუსეთის სესხის ქაღალდები და ნებადა, ვინემ დეპუტატს პარლამენტის ტრიბუნაზე. თუ არ გჯერათ—მოუსმინეთ: მოდის „სიბუნიონი“, მიაქვს საქონელი, გაყიდის იქ, მერე იყიდის იქვე, მოიტანს ფოთში, მერე... მერე ჩაყრის ზღვაში—შენი შავენ სკამებიდან. ეს იწვევს საერთო სიცილს, მარა ის განაგრძობს შეუპოვარათ. მერე იყიდის აქ, წაიღებს ისევ, გაყიდის და ფულს თავის კასაში შეინახავს. ასე ბოლომდი. მოდით და გაიგეთ რა უნდა!

მარა ყველაზე მეტი დანაშაულობა თურმე ისაა, რომ „სიბუნიონი“ უცხოელი ფირმაა და ასეთ ფირმასთან მთავრობას ხელშეკრულება არ უნდა დაედო. ამასვე იმეორებს უკანასკნელ ნომერში მათი ორგანო „ივერიაც“, რომელიც სწერს: ასეთი ხელშეკრულებით მთავრობა ბორკავს და ებრძვის ეროვნულ ბურჟუაზიასო. (ხაზი ჩვენი). ეროვნულ ნიადაგზე ვაჭრული კონკურენციის გადატანა—ეს ბურჟუაზიის თანდაყოლილი თვისებაა, ასე იქცეოდა ყველა ქვეყნის ბურჟუაზია, ასე იქცევა ჩვენი „ახალგაზრდა ბურჟუაზიაც“. ამას მოითხოვს მათი კაპიტალის ინტერესი, და აი ამ ინტერესის სიდუხჭირის დასამალავათ ის ეხვევა პატრიოტიზმის მანტიაში და თავის ჯიბის დაცვა რესპუბლიკის ინტერესათ გამოაქვს.

„ივერია“ ამითაც არ კმაყოფილდება და იმავე ნომერში თავის მკითხველებს არწმუნებს: „თანაბარ პირობებში მთავრობა უპირატესობას უცხოელებს აძლევსო“ (№ 9). თუ რამდენათ მართალია ასეთი მტკიცება—ეს ნათელჰყო ტრიბუნიდან მინისტრის ამხანაგმა ს. ავალიანმა. მან შეადარა ეს ხელშეკრულება ჩვენი „ახალგაზრდა ბურჟუაზიის“ ასეთსავე წინადადებას და გავიგეთ, რომ უკანასკნელის პირობები იმდენათ მძიმე ყოფილა, რომ მისი მიღება ნიშნავდა რესპუბლიკის ქონების ერთი პირის დაღებით ჩაყლაპვას. „სიბუნიონი“ ყიდულობს საქონელს თავისი ფულით თავისუფლათ. ჩვენი „ახალგაზრდა ბურჟუაზია“ ითხოვდა საქონლის ძალით, მილიციონერების საშუალებით ყიდვას. „სიბუნიონს“ მოაქვს საქონელი, აძლევს მთავრობას და ანგარიშის გასწორებას ითხოვს ექვსი თვის შემდეგ. ჩვენი „ბურჟუაზია“ კი ითხოვდა ანგარიშის გასწორებას ხუთ დღეში. „სიბუნიონს“ მოაქვს საკომისიო 20 პროც., ჩვენი „ბურჟუაზია“ თხოვდა—22 პროც. „სიბუნიონი“ არ მოითხოვს ზარალში თანაზიარობას. ესენი კი ითხოვენ—თუ ვიზარალეთ, ნაწილი მთავრობამ გადაიხადოს და სხვ. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, მთავრობამ ირჩია „სიბუნიონთან“ დაედო ხელშეკრულება, ვინემ „ეროვნულ ბურჟუაზიასთან“.

„ივერიის“ იმავე ნომრის მოწინავეში დაბეჭდილია მოწოდება, რომელიც იწვევს ვაჭარ მრეწველთ გამოიჩინონ ინიციატივა, მიაწოდონ ხალხს საჭირო საქონელი და ასე თავის საქმიანობით დაამტკიცონ სოციალისტების უნიჯობა და მათი პოლიტიკის გაკოტრება. თუ კი ამას შესძლებენ ჩვენი ვაჭრები, ჩვენ პირველი ვაუწყებთ ქვეყანას მათ დამსახურებას. ჩვენ პირველი ვიტყვით, რომ ჩვენი პოლიტიკა არ გამოდგა, რომ ჩვენ დავაშავეთ ქვეყნის წინაშე.

ამის მოლოდინში ვაძლევთ „ივერიას“ ექვს თვეს. ვფიქრობთ საკმარისია. თუ ამ ხნის განმავლობაში მათ ვერ შემოიტანეს, რასაც გვპირდებიან—„ივერიის“ მოვალეობა იქნება თვით აღიაროს თავის ჯგუფის პოლიტიკის და საქმიანობის გაკოტრება...

ბანი.

ფენიშვნები

II.

დამფუძნებელი კრების უკანასკნელ სხდომაზე სხვა საკითხთა შორის გაირჩა ნაციონალ-დემოკრატების შეკითხვა „სიბუნიონთან“ ხელშეკრულების შესახებ.

„სიბუნიონი“ არის უცხოეთის ფირმა, მასთან მთავრობამ ხელშეკრულობა დასდო, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ დღემდე ასეთი ხელსაყრელი ხელშეკრულობა ჩვენ არ გვქონია, მაგრამ ის რაც ქვეყნისთვის ხელსაყრელია, მავნებელია ჩვენი „ახალგაზრდა ბურჟუაზიისათვის“, რომელსაც რესპუბლიკა იმდენათ უყვარს, რამდენათ ის მისი გამდიდრების წყარო და საშუალებაა. ამ გამდიდრებაში ჩამოერია უცხოელი ფირმა და ანა როგორ მოითმენდა მათი დამცველი ნაციონალ-დემოკრატები, რომ არ ცდილიყვენ მის თავიდან მოშორებას. შეკითხვაც ამ მიზნით იყო შემოტანილი. მის დამცველათ გამოვიდა ნაც-დემოკ ატების „ფინანსისტი“ ბ. ასათიანი. მისი იწილო ბიწილო უფრო ბაზარში მიმავალ სოფლელს მოგაგონებდა, ვინემ დეპუტატს პარლამენტის ტრიბუნაზე. თუ არ გჯერათ—მოუსმინეთ: მოდის „სიბუნიონი“, მიაქვს საქონელი, გაყიდის იქ, მერე იყიდის იქვე, მოიტანს ფოთში, მერე... მერე ჩაყრის ზღვაში—შენი შავენ სკამებიდან. ეს იწვევს საერთო სიცილს, მარა ის განაგრძობს შეუპოვარათ. მერე იყიდის აქ, წაიღებს ისევ, გაყიდის და ფულს თავის კასაში შეინახავს. ასე ბოლომდი. მოდით და გაიგეთ რა უნდა!

მარა ყველაზე მეტი დანაშაულობა თურმე ისაა, რომ „სიბუნიონი“ უცხოელი ფირმაა და ასეთ ფირმასთან მთავრობას ხელშეკრულება არ უნდა დაედო. ამასვე იმეორებს უკანასკნელ ნომერში მათი ორგანო „ივერიაც“, რომელიც სწერს: ასეთი ხელშეკრულებით მთავრობა ბორკავს და ებრძვის ეროვნულ ბურჟუაზიასო. (ხაზი ჩვენი). ეროვნულ ნიადაგზე ვაჭრული კონკურენციის გადატანა—ეს ბურჟუაზიის თანდაყოლილი თვისებაა, ასე იქცეოდა ყველა ქვეყნის ბურჟუაზია, ასე იქცევა ჩვენი „ახალგაზრდა ბურჟუაზიაც“. ამას მოითხოვს მათი კაპიტალის ინტერესი, და აი ამ ინტერესის სიდუხჭირის დასამალავათ ის ეხვევა პატრიოტიზმის მანტიაში და თავის ჯიბის დაცვა რესპუბლიკის ინტერესათ გამოაქვს.

„ივერია“ ამითაც არ კმაყოფილდება და იმავე ნომერში თავის მკითხველებს არწმუნებს: „თანაბარ პირობებში მთავრობა უპირატესობას უცხოელებს აძლევსო“ (№ 9). თუ რამდენათ მართალია ასეთი მტკიცება—ეს ნათელჰყო ტრიბუნიდან მინისტრის ამხანაგმა ს. ავალიანმა. მან შეადარა ეს ხელშეკრულება ჩვენი „ახალგაზრდა ბურჟუაზიის“ ასეთსავე წინადადებას და გავიგეთ, რომ უკანასკნელის პირობები იმდენათ მძიმე ყოფილა, რომ მისი მიღება ნიშნავდა რესპუბლიკის ქონების ერთი პირის დაღებით ჩაყლაპვას. „სიბუნიონი“ ყიდულობს საქონელს თავისი ფულით თავისუფლათ. ჩვენი „ახალგაზრდა ბურჟუაზია“ ითხოვდა საქონლის ძალით, მილიციონერების საშუალებით ყიდვას. „სიბუნიონს“ მოაქვს საქონელი, აძლევს მთავრობას და ანგარიშის გასწორებას ითხოვს ექვსი თვის შემდეგ. ჩვენი „ბურჟუაზია“ კი ითხოვდა ანგარიშის გასწორებას ხუთ დღეში. „სიბუნიონს“ მოაქვს საკომისიო 20 პროც., ჩვენი „ბურჟუაზია“ თხოვდა—22 პროც. „სიბუნიონი“ არ მოითხოვს ზარალში თანაზიარობას. ესენი კი ითხოვენ—თუ ვიზარალეთ, ნაწილი მთავრობამ გადაიხადოს და სხვ. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, მთავრობამ ირჩია „სიბუნიონთან“ დაედო ხელშეკრულება, ვინემ „ეროვნულ ბურჟუაზიასთან“.

„ივერიის“ იმავე ნომრის მოწინავეში დაბეჭდილია მოწოდება, რომელიც იწვევს ვაჭარ მრეწველთ გამოიჩინონ ინიციატივა, მიაწოდონ ხალხს საჭირო საქონელი და ასე თავის საქმიანობით დაამტკიცონ სოციალისტების უნიჯობა და მათი პოლიტიკის გაკოტრება. თუ კი ამას შესძლებენ ჩვენი ვაჭრები, ჩვენ პირველი ვაუწყებთ ქვეყანას მათ დამსახურებას. ჩვენ პირველი ვიტყვით, რომ ჩვენი პოლიტიკა არ გამოდგა, რომ ჩვენ დავაშავეთ ქვეყნის წინაშე.

ამის მოლოდინში ვაძლევთ „ივერიას“ ექვს თვეს. ვფიქრობთ საკმარისია. თუ ამ ხნის განმავლობაში მათ ვერ შემოიტანეს, რასაც გვპირდებიან—„ივერიის“ მოვალეობა იქნება თვით აღიაროს თავის ჯგუფის პოლიტიკის და საქმიანობის გაკოტრება...

ბანი.

დამფუძნებელი კრება

21 ნოემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ხ. მდივანი.

რ. არსენიძის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტებისა: სამხედრო უბნების განკარგულებაში 15 მილ. მან. გადადების შესახებ ჯარისათვის სურსათ სანოვაგის დასამზადებლათ და ანარქიის წინააღმდეგ ზოგიერთ საბრძოლველ ზომის შესახებ.

გრ. ნათაძის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტებისა: საშემოსავლო გადასახადისა, საცხოვრებელი მინიმუმისა და გადასახადის ნუსხის შესახებ,—დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულების დამატების შე-

ᲓᲦᲔᲡ

ფრანგული პრესის ცნობით იტალიის ახალ პარლამენტში იქნება ხოციალისტი 188, კათოლიკე 81 და ზომიერი პარტიის 289 დეპუტატი. იმავე პრესის ცნობით პარიზში გაფიცვა გრძელდება.

ბელშევიკების ცნობით ბელგიის დეპუტატთა პალატაში ხოციალისტებს 40 მაგიერ ახლა იქნებათ 70 ადგილი.

ფრანგული პრესის ცნობით განდერველდე ლიბერალურ ელემენტებთან ბლოკის მომხრეა. შეხდგება მემარცხენე მთავრობა, რომელშიაც უმრავლესობა ხოციალისტები იქნებიან.

იაპონიის მთავრობა უარყოფს გაზეთების ცნობას, თითქოს იაპონიახა და საბჭოთა რუსეთს შორის მოლაპარაკება სწარმოებდეს.

ფრანგული პრესის ცნობით ხაზავო ხელშეკრულების დამტკიცების დროს ამერიკის სენატში სენატორთა ხმები შუაზე გაიყო, რის გამო ზავის პირობათა რატიფიკაცია გამოურკვეველ დროისათვის გადაიდო.

გერმანიის ზოგიერთ ოლქებში დიდი თოვლი დახდა, რაც რკინის გზებზე წესიერ მოძრაობას ხელს უშლის.

სახებ,—ალავერდის ქარხნიდან ოქრო ვერცხლის შესაძენათ 225,400 მან. გადადების შესახებ—სატელეგრაფო ქსელის გაბმა-შეკეთებისათვის შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 357,000 მან. კრედიტის გახსნის შესახებ,—ოზურგეთის სამაზრო ერობისათვის 3 მილ. მან. სესხის მიცემისა,—მთავრობის წევრთა ჯამაგირის გადიდებისა და დამფუძნებელი კრების წევრთა გასამსჯელოს გადიდების შესახებ.

ეროვნულ დემოკრატების შეკითხვა. მდივანი კითხულობს ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის მთავრობისადმი შეკითხვას,—რუსულ სავაჭრო საზოგადოების „სიბუნიონთან“ დადებულ ხელშეკრულების შესახებ.

შეკითხვას ასაბუთებს **ალ. ახათიანი**, რომელიც აღნიშნავს შემდეგს: 29 ოქტომბერს დაიდვა ხელშეკრულება საქართველოს მომარაგების სამმართველოს და რუსულ სავაჭრო ფირმა „სიბუნიონი“ს შორის. ამ ხელშეკრულებას უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ამ ხელშეკრულობის ძალით მომარაგების სამმართველომ უნდა გადასცეს „სიბუნიონს“ ყველა ის საგნები, რომელიც დამზადებულია უცხოეთში გასატანათ და მოიპოვება ჩვენს სახელმწიფო საწყობებში; თამბაქოს ფოთოლი, სპილენძი, მატყლი და სხ. ყველა ეს საქონელი „სიბუნიონმა“ უნდა გაიტანოს საზღვარ გარეთ და ამ ოპერაციიდან მიღებული წმინდა მოგების 20 პროცენტი აიღოს, დანარჩენი 80 პროცენტი წმინდა მოგებისა რჩება მათივე კასაში საქართველოს მთავრობის მიმდინარე ანგარიშზე, „სიბუნიონი“ კი ვალდებულია ჩვენს მთავრობას ჩააბაროს სად. ფოთში უცხოეთიდან ჩამოტანილი საქონელი. გარდა ამისა ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ „სიბუნიონი“ შემოიტანს საქართველოში საქონლის შესასყიდლათ 5 მილ. გრ. სტერლინგამდე, აქედან 25 პროცენტი ჩვენმა მთავრობამ უნდა მისცეს „სიბუნიონს“ ჩვენი ბონებით, რაც შეადგენს ერთ მილიარდ მანეთს, ასეთი თანხის გაღება ჩვენი ღარიბი ხაზინიდან ძალიან ძნელი იქნება. ხელშეკრულებაში არის ერთი დადებითი მუხლი. იქ სწერია, რომ „სიბუნიონი“ ვალდებულია შემოიტანოს საქართველოში 400 ათასი ფუთი ხორბალი, მაგრამ ეს არაფრით არ არის უზრუნველყოფილი. ამ ხელშეკრულების შეკვრამდე ამ საკითხის შესახებ მომარაგების სამმართველოსთან მოლაპარაკებას აწარმოებდა ვილაც რუსი გერმანი.

მოვითხოვთ, რომ მთავრობამ გამონახოს საშუალება ამ ხელშეკრულების გასაბათილებლათ.

ს ტ უ მ რ ე ბ ი.

ასათიანის სიტყვის დროს დამფუძნებელ კრებაში შემოვიდენ სომხეთის და ადერბეიჯანის მთავრობის თავმჯდომარენი: ხატისოვი და უსუბეკოვი და დაიკავეს უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლების ლოჟები.

ხ. მდივანის სიტყვა.

თავმჯდომარე ს. მდივანმა შემდეგი სიტყვით მიმართა სტუმრებს: დამფუძ. კრების წევრნო! დღევანდელ ჩვენს სხდომას ეწვია სტუმრათ ორი წარმომადგენელი მეზობელ სახელმწიფოებისა: ეს გახლავთ ადერბეიჯანის მთავრობის თავმჯდომარე ბ. უსუბეკოვი და სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე ბ. ხატისოვი (ტაში).

ამიერ კავკასიამ გადიტანა საშინელი, სასტიკი რეაქცია რუსეთის თვითმპყრობელობისა. ამიერ კავკასიამ გადიტანა საშინელება უდიდესი ომისა.

ამიერ-კავკასია იშვა რევოლიუციის ქარცეცხლში. ამიერ კავკასის ნაწილები ბუნებრივათ ლაგდება, ბუნებრივათ თავის შინაურ საქმეებს აწყობს, ამავე დროს ამ ნაწილებმა უეჭველათ უნდა მოაწესრიგონ ურთ ერთ შორის დამოკიდებულება, ეს არის მათი ისტორიული ვალი და ამ ვალის წინაშე, ყოველივე უთანხმობა არარაა. თუ ამიერ-კავკასიაში მობინადრე ხალხმა შესძლეს ასეთი საშინელების დაძლევა, მე ღრმათ მწამს, რომ ის უთანხმობა, რომელიც არსებობს ორ მეზობელთა შორის იქნება ადვილათ გაქარწყლებული, ვინაიდან ამას გვიკარნახებს ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა და მომავალი ბედი.

ჩვენ უნდა დაუმტკიცოთ ყველა კულტურულ ქვეყნებს, რომ ამიერ კავკასია ში ბინადრობს ხალხი, ფრიად კულტურული, დემოკრატიულათ განწყობილი და დემოკრატია შესძლებს ძველი წესები და საშუალებები უარყოს და ახალ საშუალებებით მოაწყოს ურთ ერთ შორის დამოკიდებულება. ის უთანხმობა, რომელიც დღეს მათ შორის არსებობს, არ წარმოადგენს ისეთ ღირებულებას, როგორიც არის არსებობა თვით ამ სამი რესპუბლიკისა—საქართველოს, სომხეთის და ადერბეიჯანის.

მე დარწმუნებული ვარ, რომ გამოვსთქვამ თქვენს ღრმა რწმენას, რომ დამფუძნებელ კრებას და საქართველოს დემოკრატიას ეშვი არ ეპარება იმაში, რომ ამიერ კავკასიაში მობინადრე ხალხი შესძლებს თავის თავს თვითონვე მოუაროს (ტაში), ჩვენ კარგათ გვაქვს შეგნებული, რომ ყველა ერისათვის, როგორიც არ უნდა იყოს იგი; უწინარეს ყოვლისა კი ჰატარა ერისათვის, აუცილებელია მეზობელ ერებთან შეთანხმებაზე ზრუნვა ჰატარა ერს გარდა შეთანხმებისა მეორე გზა არა აქვს, ამიტომ ამ გზით უნდა იარონ ჰატარა ერებმა, მაშინ უფლება ექნებათ მოითხოვონ დიდი ერებისაგან ჰატივისცემა და აღიარება მათი უფლებებისა. საქართველოს დემოკრატიამ მზათ არის ყოველივე თავისი ძალა, ნივთიერი თუ სულიერი, შესწიროს ამ საქმეს.

მე ერთხელ კიდევ სალამს უძღვნი ამ ორ მეზობელ რესპუბლიკის წარმომადგენელს და უსურვებ მათ, რომ ჩვენს დედა ქალაქში მოიპოვონ ის გზა, რომლითაც უნდა იარონ სამივე რესპუბლიკის ხალხმა (ტაში). გაუმარჯოს საქართველოს, სომხეთს და ადერბეიჯანს. (ტაში)

დასასრულ ჩემ თავს ნებას მივცემ გაუგზავნო თქვენის სახელით დეპეშები სომხეთის და ადერბეიჯანის პარლამენტს და გამოვსთქვა ღრმა რწმენა დამფუძნებელი კრებისა, რომ მათ შორის მალე დამყარდება შეთანხმება და მეზობლური დამოკიდებულება (ტაში). კრება წყდება რამდენიმე წუთით. კრების განახლების შემდეგ სიტყვა ეძლევა მეკითხვის საპასუხოთ ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის ამხანაგს ს. ავალიანს.

ს. ავალიანის სიტყვა

შეკითხვაში არის სამი უმთავრესი მომენტი. პირველი: ქონდა თუ არა უფლება მთავრობას ასეთი ხელშეკრულება დაედო დამფუძნებელი კრების გარეშე? არსად არც ერთ კონსტიტუციაში არ არის მუხლი, რომელიც ასეთი მოკლე ვადიანი ხელშეკრულების დადების უფლებას ართმევდეს მთავრობას. ეს მოსაზრება მისაღები არ არის.

მეორე მოსაზრებათ ის მოყავთ ნაც.-დემოკრატებს, რომ „სიბუნიონი“ ეს რუსული ფირმაა და ამიტომ მასთან ხელშეკრულობის დადება ყოვლად შეუძლებელიაო. მათის აზრით ჩვენ უწინარეს ყოვლისა ყველას უნდა მოვსთხოვოთ პასპორტი თუ ვინ ირის ეს, ან რომელ ეროვნებას ეკუთვნის. ჩვენ ერთხელ და სამუდამოთ უნდა განვცხადოთ რომ ჩვენთვის სულერთია: ფრანგი, ინგლისელი, რუსი, თათარი და სხვა. ვინც ამ სასურსათო და საქონლის კრიზისის დროს დაგვეხმარება, ყველასთან დავდებთ ხელშეკრულებას.

მესამე მოსაზრება: საზარალოა თუ არა ეს ხელშეკრულება ჩვენთვის. ვინც ამ ხელშეკრულებას ჩაუკვირდება, ყველა დარწმუნდება, რომ ეს ჩვენთვის საზარალო არ არის. მართლაც და რის უფლებას ვანიჭებთ ჩვენ „სიბუნიონს“?—ხელშეკრულების ძალით „სიბუნიონს“ უფლება აქვს გაიტანოს ევროპის ბაზარზე ის საქონელი, რომელიც ჩვენს საწყობებში არის, თუ არ იქნება საწყობებში საქონელი, მაშინ ის ვერაფერს ვერ გაიტანს. და თუ ჩვენ მეტი საქონელი გვექნა და საუკეთესოთ უფრო მოსაგებათ ვიცანით ჩვენ მიერ გატანა, მაშინ ჩვენ თვითონ გავიტანთ საზღვარ გარეთ საქონელს. ამის უფლება ჩვენ გვაქვს უნდა იცოდენ ნაც. დემკ., რომ იმ შეკითხვაში ნათქვამი იყო, რომ „სიბუნიონი“ დიდ მოგებას ნახავსო. ეს სიმართლეს არ შეეფერება. საქონლის ფასს განსაზღვრავს მომარაგების სამმართველო (შ. მეტ ხიშვლი ადგილიდან: ადგილობრივ ვინ განსაზღვრავს?) დაიცადეთ, ბატონებო, მანქანა რომ მქონდეს, მაშინ ერთად მოგაყრით ყველა სიტყვებს, მე კი მანქანა არა მაქვს. გთხოვთ იქონიოთ მოთმინება. შემდეგ წმინდა მოგება, რომელიც დარჩება ამ ოპერაციიდან, ასე განაწილდება: 20 პროცენტს წაიღებს „სიბუნიონი“, 80 პროცენტი კი ჩაირიცხება საქართველოს მთავრობის მიმდინარე ხარჯებში. ამ ფულის გამოტანა შეუძლია მხოლოდ საქართველოს მთავრობას. ეს არის უმნიშვნელო სავაჭრო ოპერაციის აზრი. აქედან საქონლის წაღებით და ევროპის ბაზარზე გახადებით თავდება ერთი ოპერაცია. მეორე ოპერაცია კი მდგომარეობს იმაში, რომ უცხოეთიდან უნდა შემოიტანონ ჩვენში საქონელი, რომ ხარჯებში და საქონლის ფასებში არ მოგვატყუონ, ჩვენ „სიბუნიონს“ ვაყოლებთ ჩვენს აგენტს. ნაც დემოკრატებს ვერ გაუგიათ ერთი რამ. ხელშეკრულებაში სწერია, რომ „სიბუნიონმა“ ჩვენთვის საქონელი უნდა შეიძინოს პირველ წყაროდან, ქარხნიდან.

რაც შეეხება 5 მილ. სტერლინგის შემოტანას, ნუ თუ თქვენ, ბ ნო ნაც. დემ., გგონიათ, რომ ამ თანხას ისინი ერთდროულათ შემოიტანენ? ამას არ მოითხოვს კომერციის აზრი.

ხელთ მაქვს წინადადება საქართველოს სავაჭრო პალატისა (გრ ურატაძე ადგილიდან: „საინტერესოა, გაგვაცანით), ისინი ჩვენ გვთხოვენ, რომ ჩვენს ბაზარზე ძალადობით შევიძინოთ მათთვის საქონელი და სხვ. გვაქვს აგრეთვე წინადადება 12 ქართველი ვაჭართა ჯგუფისა, სადაც ისინი მოითხოვენ 15 პროცენტს ოპერაციაში დახარჯული თანხიდან გასატან საქონელზე, შემოსატან საქონელზე კი 7 პროცენტს, სულ 22 პროცენტს ეს კი დიდათ საზარალო იქნებოდა ჩვენთვის. გარდა ამისა, ისინი მოითხოვენ, რომ ზარალი თუ მოუვიდათ, მთავრობამ ნაწილი ამ ზარალისა აუნაზღაუროს (ს. დემ. სკამებიდან: ეს ხელშეკრულება რომ არ მიიღეს, ალბათ იმიტომ შემოიტანეს ნაც. დემოკ. შეკითხვა). მათი პირობები ჩვენთვის სრულიად მიუღებელი იყო. დასასრულ მინისტრი აღნიშნავს, რომ მთავრობას გათვალისწინებული ჰქონდა ის გარემოება, თუ ვის ეკუთვნოდა ხელშეკრულებით და ამიტომაც მათ დაუყენა საკითხი ასე: არიან თუ არა მართლა ისინი ინგლისის ფინანსიური წრეების ოფიციალური წარმომადგენელნი. ეს უნდა დამტკიცოს ინგლისის მთავრობამ ამისთვის მათ ეძლევათ ერთი თვის ვადა. თუ არ დამტკიცა ეს ბრიტანეთის მთავრობამ, მაშინ ხელშეკრულება გაუქმებული იქნება.

სიგვიანის გამო მსჯელობის გადადება ამ საგანზე შემდეგისათვის გადაიდო.

ᲓᲔᲙᲔᲨᲔᲑᲘ

საქართველოს დეპეშით სარგებლობ

22 ნოემბერი.

ᲑᲐᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

მოსკოვი, ნოემბრის 21. **ლიონი**, ნოემ. 20. ბელგიის დეპუტატთა პალატის არჩევნებში სოციალისტებმა ზეიმარჯვეს. 40 ადგილის მაგიერ მათ ეხლა 70 ადგილი იქნებათ. სამხედრო ცნობა. 21 ნოემ. ჩრდილოეთ დვინის მიმართ, მზვერავები მოქმედებენ, წამოვიყვანეთ ტყვეები, ნარვის მიმართულებით მდ. ლუგის მარცხენა ნაპირზე ბრძოლაა. ნარვის სამხრეთ დასავლეთით 30 ვერსზე, ბრძოლის დროს ჩვენ მტრის რეველის პოლკი ტყვეთ წამოვიყვანეთ. ამას გარდა ნარვის ჩრდილოეთით ჩვენ 300 მდე ტყვე წამოვიყვანეთ, ხელში ჩავიგდეთ 5 ტყვიისმფრქვეველი სატელეფონო და სხვა სამხედრო ქონება. ქალ. დრისის რაიონში მტერი შეეცადა დასავლეთ დვინაზე გადასვლას, მაგრამ უკუ ვაგდეთ. ჩერნიგოვის და კიევის მიმართ ჩვენი ჯარი ქალ. ოსტერის ჩრდილოეთით იბრძვის. ნეფის ჩრდილოეთით 10—15 ვერსზე ჩვენ ბრძოლით ავიღეთ რამოდენიმე სოფელი, ხელში ჩავიგდეთ 7 ზარბაზანი, ტყვიისმფრქვეველები, ყუმბარები, 500 ცხენი და სხვა მრავალი ქონება. სუჯის მიმართ. ჩვენ ლგოვის რკინის გზის ხაზი მტრისაგან გავანთავისუფლეთ. აქედან ჩვენ 800 ტყვე წამოვიყვანეთ, ხელში ჩავიგდეთ 6 ზარბაზანი, 12 ტყვიისმფრქვეველი, 8 ორთქლმავალი, 100 ვაგონი 1 ვაგონი თოფდებით, 3000 ყუმბარა და სამხედრო ქონება. პეტროგროდის მიმართ. ჩვენი ჯარი სადგ. სარაევკასთან გამოვიდა. ამ რაიონიდან 700 ტყვე წამოვიყვანეთ, ხელში ჩავიგდეთ ზარბაზნები და სხვა ქონება. სტარაიოსკოლთან ბრძოლა ჩვენ სასარგებლოთ სწარმოებს. კოროტოიაკის ჩრდილოეთით 25 ვერსზე ჩვენ მტრის, დონის მეხუთე პოლკი დავამარცხეთ. კრასნოიარის ჩრდილო აღმოსავლეთით 25—30 ვერსზე ჩვენ რამდენიმე სოფელი ავიღეთ. კოკჩეტავის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს, და ომსკიტროს ჩრდილო აღმოსავლეთით 110 ვერსზე და ჩრდილოეთით 90 ვერსზე ბრძოლით გამოვიდა. ომსკის რაიონში კალჩინსკაიას სამხრეთით 20—40 ვერსზე ბრძოლაა. რკინის გზის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარი მტრის დევნას განაგრძობს. ომსკის აღმოსავლეთით 100 ვერსზე წინ მიიწევს. ირტიშის აღმოსავლეთ ნაპირზე, ომსკის ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით 90 ვერსზე, ჩვენ სერებრიანსკაია დავიპირეთ. წამოვიყვანეთ ტყვეები. ტობოლის რაიონში ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. აღიეს ქალაქი ტარუ.

ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲒᲤᲝᲠᲡᲘ ნოემბრის 15. შვეიცის გაზეთი „ავტომბლადეტი“ იუწყება: სოციალისტების მიერ შემდგარმა სახალხო გვარდიამ საკრანგეთის ბურჟუაზიულ პრესაში დიდი მღელვარება გამოიწვია ლეგიონის მიზანია—ბრძოლა სოციალისტების მტრებთან და დემონსტრაციების დროს წესრიგის თვალყურის დევნება. ლეგიონს ჰყავს თავისი შტაბი, სადაც მკაცრი დისციპლინაა შემოღებული. ლეგიონი არჩევნების შემდეგაც იქნება.

ᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡᲐ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ძვირფასი ნივთების ყიდვა საზღვარგარეთ გასატანათ ბირჟაზე აკრძალულია. ფასები ოქტომბრის პირველიდან მუდმივ მატულობდა, დაიწია ერთი დღით, როდესაც ხმა გავრცელდა რომ ლიკვიდაციას ახდენენო, მაგრამ ორი დღის შემდეგ ისევ გაიზარდა.

მიუხედავათ დიდი ყინვებისა ზამთარს მაინცა და მაინც საგრძნობი ზარალი ლოფლებისთვის არ მიუყენებია, რადგან ღრმა თოვლი დასდო. მოსავალი საშუალო.

უკანასკნელ კვირის განმავლობაში ეკონომიურ ცხოვრების აღორძინების ნიშანი უკვე სჩანს. სამგზავრო მატარებლების შეჩერების გამო ნახშირი და ნედლი მასალა შემოდის, საუბედუროთ ზოგიერთ ოლქებში დიდი თოვლი დასდო (ბერლინის განაპირას 1 ნახ. ფუტია) ეს გარემოება რკინის გზის მოძრაობას ხელს უშლის და ამით აფერხებს იმ საგნების გადაზიდვას, რომლებიც ადრე ფუქდება; მიუხედავად ამისა, ეკონომიურ მდგომარეობას გაუმჯობესობა მაინც ემჩნევა.

გაზეთები ყურადღებას აქცევენ მცირე აზიაში იტალიასა და საბერძნეთს შორის მდგომარეობის გამწვავებას. თავისი მოქმედებით ანტანტა უეჭველად ინგლისს უშერს მხარს, რომელიც იტალიას ხელს უშლის თავის გავლენის სფეროში ჩაერიოს. აღმოსავლეთში საფრანგეთის ავტორიტეტის დაცემის სურვილი ზრდის იმ საბელმწიფოთა შორის უთანხმოებას, რომლებიც ოსმალეთის საკითხით არიან დაინტერესებული.

ᲖᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

რომიდან იუწყებიან, რომ იტალიის ახალი პარლამენტი იქნება შემდგარი 138 სოციალისტისაგან, 81 კათოლიკისაგან და 289 ზომიერ პარტიის წევრისაგან.

ამერიკის შეერთებულ შტატების სენატში რამდენძალჯერ გამეორდა კენჭის ყრა. ვერც უცვლელად ვერც შესწორებებით ხელშეკრულება დამტკიცებული, თუ უარყოფილი ვერ იქნა, ინტერორთა ხმები შუაზე გაიყო. ამის გამო ზავის პირობათა რატიფიკაცია სენატმა გამოურკვეველ დროსათვის გადადო.

ლოჯ ს წინადადება, რომ კონგრესს გერმანიასთან ომის მდგომარეობა დასრულებულად გამოეცხადებია, გარეშე საქმეთა კომისიას გადაეცა.

ბრიუსელიდან მისული ცნობით, იუსტიციის მინისტრმა ვანდერველდემ თავისი თავი ლიბერალურ ელემენტებთან ბლოკის მომხრეთ გამოაცხადა. ამ გვარად შესდგება მემარცხენე მთავრობა სოციალისტების უმრავლესობით უთუოდ თვით ვანდერველდის მეთაურობით.

ხაზავო კონფერენციას იაპონიის დელეგაციამ შემდეგი ნოტა წარუდგინა: ზოგიერთი გაზეთები იუწყებიან, თითქოს იაპონიასა და საბჭოთა მთავრობის შუა ნეიტრალურ ნიადაგზე მოლაპარაკება სწარმოებდეს. ეს ხმები სიმართლეს არ შეეფერება“.

პარიზში გაფიცვა გრძელდება.

უმაღლესი საბჭო განაგრძობს აღმოსავლეთ გალიციის პოლონეთთან შეერთების საკითხზე თათბირს.

უმაღლესმა საბჭომ შპიცბერგენის ხელშეკრულება ნორვეგიასთან მოიწონა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

დღეს, საღამოს 6 ს. შესდგება ს. ს. დემ. მ. ჰ. ცენტრალური კომიტეტის სხდომა.

✦ **მთელ შორაპნის მაზრაში** ახალგაზრდათა მობილიზაცია მწყობრად მიმდინარეობს. გასაწვევნი აღფრთოვანებით ცხადდებიან. იშვიათია გამოუცხადებლობა.

✦ **საჩხერის** რაიონში მომქმედმა შორაპნის სახალხო გვარდიის რაზმმა გაკრა ქართლიდან გადმოსავალი ყველა გზები და ახდენს მცხოვრებლების განიარაღებას და ატყვევებს ბოროტმომქმედთ. შეიპყრო მთელი ჯგუფი ყაჩაღებისა. უკანასკნელთა რიცხვში იმყოფებიან ადგილობრივი მცხოვრების იაკობ ნოზაძის მკვლელნი. მცხოვრებნი აღფრთოვანებით ეგებებიან გვარდიის მოქმედებას და მოითხოვენ დამნაშავეთა სასტიკათ დასჯას.

✦ **მეამბოხეთა გახამართლება.** 21 ნოემბერს სამხედრო საგანგებო სასამართლომ ჩოხატაურის რაიონში გამოიძია ადგილობრივად მომხდარი აჯანყების საქმე: რვა კაცს დაბვრეტა გადაუწყვიტა, ცხრა კაცი გაამართლა, 25 კაცი კი გადასცა გამომძიებელს ციხეში ჩასმათ.

✦ **5. ჩხეიძის ქალის იუბილეი-საოვის.** დღეს, 12 საათზე, საქ. კოოპ. კავშირის დრამატიულ სტუდიის ბინაზე (ფაღიანის ქ. № 11) შესდგება კრება ქ. თფილისის საზოგადოებრივ-კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლებისა ჩვენი ნიჭიერი მსახიობის ნ. ჩხეიძის ქალის საიუბილეო დღესასწაულის პროგრამის შესამუშავებლათ. სთხოვენ ყველა იმ დაწესებულებებს, რომელთაც მოწვევის ბარათი მიუვიდა, ნუ დაიგვიწყებენ და გამოგზავნონ თავთავის წარმომადგენელი.

✦ **იარალის აყრა საგარეჯოში.** 19 ნოემბერს ღამით ადგილობრივმა ადმინისტრაციამ გვარდიელების დახმარებით ალყა შემოარტყა ს. საგარეჯოს და შეუდგა იარაღის აყრას. სულ შეგროვილ იქნა 100-მდე ვინტოვკა.

✦ **ჯარში გაწვევა.** თფილისის მაზრაში ახალგაზდათა ჯარში გაწვევა წესიერათ მიმდინარეობს.

✦ **ახალი საბაჟო ტარიფები.** ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ სავაჭრო სამრეწველო პალატას გადასცა დასკვნისათვის საბაჟო უწყების მიერ შემუშავებული ახალი საბაჟო ტარიფები, პალატის კომიტეტმა ამ საკითხის დაწვრილებითი დასამუშავებლად შეადგინა მცოდნეთაგან ათი კომისია, რომელნიც უკვე შეუდგნენ მუშაობას.

✦ **ქალაქის გამგეობამ** დაადგინა, შეიძინოს ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებიდან 7 ათასი არშინი მაუდი მილიციის ტანთ საცმელისათვის, რისთვისაც გადასდო 700,000 მანეთი.

✦ **მევენახეთა და მეღვინეთა კონგრესი** დღეს, 12 ს. ზუბალაშვილის სახალხო სახლში გაიხსნება სრულიად საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა კონგრესი. შესავალი ბილეთების მიღება შეიძლება იქვე დილის 9 ს.

✦ **ვერის მუშათა კლუბში** დღეს გაიმართება საღამო. წარმოდგენილი იქნება: კარეევის 3 მოქმ. დრამა „უბედური ნაბიჯი“ და 1 მოქ. ვოდ. წერეთლისა „სცენა კომისარიატში“. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

✦ **გადახახადთა აკრეფა თფილისის მაზრაში** თფილისის სამაზრო ერობის დადგენილებით მთელ მაზრაში დაგზავნილია 3 სპეციალური კომისია, რომელსაც ევალება კანტროლი გაუწიოს ადგილობრივ ხარჯის ამკრეფ კომისიას. სპეციალური კომისია გამოარკვევს აგრეთვე ადგილობრივ არჩეულ კომისიასთან ერთად თუ ვის რამდენი მიწა აქვს და ამისდა მიხედვით გაიწერს გადასახადს (ერთდროული, სასანიტარო და საერობოს) ხალხი გადასახადს წესიერად იხდის.

✦ **სამართალში მიცემა.** სომხეთის საქველმოქმედო საზოგადოების პრეზიდიუმს აზრად აქვს სამართალში მისცეს საქველმოქმედო საზოგადოების საბჭოს წევრები რამდენიმე წლის განმავლობაში ჯამაგირისა და სურსათის უკანონოთ მიღებისათვის.

✦ **ტეხნიკური ლექსიკონი.** მრავალ შემკითხველთა საყურადღებოდ საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოების სატერმინო სექცია აცხადებს, რომ ტეხნიკური ლექსიკონის მასალები გადაეცა სახელმწიფო სტამბას დასაბეჭდად ამა წლის აგვისტოში. ლექსიკონი გამოვა დეკემბრის შუა რიცხვებში.

✦ **მისალმების დეპეშა.** ნიგოეთიდან მთავრობის თავმჯდომარეს შემდეგი დეპეშა მოუვიდა: „ნიგოეთის მშრომელთა სემდგარი თავდაცვის რაზმი, რიცხვით 200 კაცი, თქვენის სახით მივესალმებით რესპუბლიკ ს მთავრობას და ფიცსა ვსდებთ სიცოცხლის უკანასკნელ დღემდის ვებრძოლოთ ხალხის დაუძინებელ მტრებს, რომლებიც ავაზაკური გამოსვლებთ გურიაში შეეცადენ რევოლიუციონურ გურიის სახელის გატეხას ზიზღი აჯაღ ავანტიურისტებს. სალამი და გამარჯვება რევოლიუციის დამცველ ჯარსა და სახალხო გვარდიას“.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებებში დანიშნულია შემდეგი მორიგი ლექციები: მე-3 განყ. (ჩუდურეთი): 1) ირემაშვილი „ეკონომიური საკითხები“; 2) ტ. ართმელაძე „ერი და ჯარი“; 3) ასათიანი „საფრანგეთის რევოლიუცია“. მე 7 განყ. (წმ. ნინოს რაიონი): 1) შალამბერიძე „ქიმია“; 2) კოტეტიშვილი „სოციოლოგია“. 1 განყ (საბურთალო): 1) ა. წერეთელი „ისტორია“; 2) ირემაშვილი „ეკონომიური საკითხები“. 8 განყ. (ავლაბარი) 1) შალამბერიძე „ქიმია“; 2) ტ. ართმელაძე „ერი და ჯარი“; 3) ს. მესხი—„სამშობლოს აღწერა“.

✦ **ბათუმის ქართული დრამ. სტუდიის მოყვარეთა წრე.** თფილისში ჩამოვიდა წრის თავმჯდომარე ამხ. ეოფეი შვილი მსახიობების გასაწვევათ. რეჟისორ კ. ანდრონიკაშვილისაგან უკვე მიღებო პრინციპიალური თანხმობა ბათუმში წასვლაზე. განზრახულია სისტემატიურათ მართონ წარმოდგენები. წრის სთხოვა დახმარება დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიას, რაც კომისიამ აღუთქვა.

✦ **ღარიბ მოწაფეთა სახარგებლოდ** ამ თვეს თფილისის რეალურ სასწავლებლის დარბაზში გაიმართება საღამო. საღამოში მონაწილეობას მიიღებ გლაზ. ევრეინოვი, გრიშაშვილი, ი ევი, სარაჯიშვილი, ტუმანიანი, ბა ზაკსი ვაკარეცი, პაოლო იაშვილი, ჯაფარიძე და სხვები.

✦ **პატარა კახი.** რედაქციამ მიი საქართველოს საისტორიო და საეთ გრაფიო საზოგადოების გამოცემა ტორიული 5 მოქ. დრამა აკაკისა „ტარა კახი“. წიგნი სუფთა გამოცემ კარგს ქაღალზე და ღირს 12 მან.

✦ **ხაქართველოს პროფესიონალ კავშირთა 1 ლი ყრილობის** ოქმები იბეჭდა და იყიდება. წიგნი შეიცავს გვერდს და ღირს 15 მან. დაკვეთა შ ძლება მხოლოდ საქ. პროფ. კავშირ ცენტ. საბჭოს აღმასრულებელ კომ ტეტში. ნისიათ არავის გაეგზავნ (მისამართი: თფილისი. პროფეს კავშ თა ბინა. რუსთაველის პრ. სახლი ა მიანცისა, № 17. სართული მეო ოთახი 28.)

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

დღეს, დილის 10 ს. მუშათა კუ (ყოფილი რუსების კლუბი) დანიშ ლია არაჩვეულებრივი შეერთებ სხდომა თფილისის პროფ. საბჭოს ყველა კავშირების გამგეობის წევრ სა. გასარჩევი საკითხის სირთულის მო ყველა წევრების დასწრება აუცი ბელია. გუშინ ჩვენ გაზეთში შეცდომ იყო მოხსენებული, რომ კრება ზუბა შვილების სახლშიაო.

კვირას 23 ნოემბერს დილის 11 მე 6 რაიონის კოლექტივის ბინაზე ნიშნულია ამავე რაიონის ქალთა ორ ნიზაციის სხდომა.

დღეს 23 ნოემბერს დილის 11 სა სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოც. მოკრ. სამეცნიერო წრეში დანიშნულ ამხ. ნიკიფორე იმნაიშვილის მორ ლექცია ფილოსოფიაზე.

ᲭᲚᲔᲥᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ

ბევრ გვარი მტერი ახვევია გარს შიანს. მტერი აშკარა, მტერი უჩინარ ამ უჩინარ მტერთა შორის პირველი გილი ჭლექს უჭირავს. არც ის ეადვ საქმეა იმის გაგება, თუ რა დროს როგორ მოთავსდება ჭლექის უბილ ბაცილა ადამიანის ორგანიზმში.

ძნელია საზოგადოთ ჭლექის წინ მდეგ ბრძოლა, დაწინაურებული ნებში, სადაც ჩვენს ქვეყანასთან შ რებით ჭლექით ავათმყოფობა ნა პროცენტს შეადგენს, ათასგვარი სა ალებებით ებრძვიან მას. იქ კერძო ციატივას ფართო ასპარეზი აქვს სნილი.

ჩვენში კი სამწუხაროდ, დღეგ მხრით ბევრი არაფერი გაკეთებულ

ამიტომ სასიხარულო მოვლენათ ჩაითვალოს ექიმთა სანიციატივო ჯგუფის განზრახვა ჭლექთან მებრძ საზოგადოების დაარსების შესახებ.

დღეს, 23 ნოემბერს, შუადღეს 1 თფილისის სამაზრო ერობის შეო (რუსთაველის ქ. № 6) მოწვეულია ფუძნებელი კრება ჭლექთან მებრძ საზოგადოების დასაარსებლათ.

დიდის კმაყოფილებით აღვნიშ საზოგადოების დაარსებას, ვეკუთ ინციატორთ ენერგიის წარმატებ საქმეში და ვიმედოვნებთ, რომ ალისში დაარსებული საზოგადოება მოკლე ხანში განაყოფილებებით მო ნება მთელს საქართველოში.

იმედია ჩვენი საზოგადოება მზ ლე მონაწილეობას მიიღებს საზოგ ების დაარსებაში კრებაზე დასწრებ

ᲒᲐᲗᲣᲛᲘ

ქალაქის საბჭოს გარშემო.

ქალაქის საბჭოს მოქმედებით ინ კმაყოფილი ინგლისის სარდლობა ინგლისის სარდლობის მიერ დაარ საქალაქო კომისიაში კომისიის მჯდომარემ პოლკოვნიკმა გარიმ ნაცხადა, რომ სამხედრო გუბერნ არ შეუძლია იმუშაოს ისეთ უმ საბჭოსთან, როგორიც არის ქ დღევანდელი საბჭოვო. ქალაქის თა გამგეთ ინიშნება ინგლისელ

ᲛᲔᲠᲘ ნორმანი. შეკითხვაზე—თუ როდის მოხდება საბჭოს ახალი არჩევნები, პოლკ. გარისს გადაეცრილი არაფერი უთქვამს. 14 ნოემბრის სხდომაზე ქალაქის საბჭომ რეზოლიუცია მიიღო, რომელიც საჭიროთ სცნობს ძველი საბჭოს არსებობას მანამდე, სანამ არ იქნება არჩეული ახალი საბჭო

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲐ.

სამხედრო გუბერნატორმა განუცხადა ქართულ ეროვნულ საბჭოს დელეგაციას, რომ მან უკვე გასცა ბრძანება, რათა უმაღლეს დაწყებით სასწავლებლის შენობა, როგორც კი განთავისუფლდება, გადაეცეს ქართულ გიმნაზიას. ხსენებულ შენობაში ამ ჟამათ მოთავსებულია რუსული გიმნაზია, რომელიც ამ დღეებში გადავა თავის შენობაში, სადაც ამ დრომდე ინგლისელთა ჯარისკაცები იდგენ.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ.

საფრანგეთ-კავკასიის კომიტეტი. მიმდინარე წლის აგვისტოში დეპუტატი დე მონზეს საპატიო თავმჯდომარეობით ფრანგულ საზღვაო ლიგასთან მოეწყო საფრანგეთ კავკასიის კომიტეტი, რომლის მიზანსაც შეადგენს საფრანგეთსა და ამიერ კავკასიის რესპუბლიკებს—საქართველოსა და ადერბეიჯანს შორის სავაჭრო დამოკიდებულებათა მოწესრიგება. 4 ოქტომბერს პარიზში სამეცნიერო საზოგადოებათა დარბაზში მოხდა ამ კომიტეტის საჯარო კონფერენცია, რომელზედაც დაახლოვებით შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია იქნა გამოტანილი: კომიტეტმა მოისმინა საქართველოს, ადერბეიჯანის და საფრანგეთის წარმომადგენელთა მოხსენებები ამ ქვეყნების ეკონომიურ ინტერესების შესახებ და მადლობას უცხადებს პირველ ყოვლისა თავის პრეზიდენტ-დამაარსებელს—დე მონზეს ამ მუშაობისათვის, რომელიც მიმართული იყო ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის ცნობისაკენ. კომიტეტი გადაწერით მოითხოვს, რათა საფრანგეთის მთავრობამ თვით იცნოს ამ ქვეყნების დამოუკიდებლობა და მიიღოს ზომები, რათა ასე მოიქცენ სხვა მოკავშირე სახელმწიფოებიც. ამ გზით, შეიძლება, კომიტეტის აზრით, დაცულ იქნეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა თვით გამორკვევის უფლება და აგრეთვე საფრანგეთის ეკონომიური ინტერესები კავკასიაში.

ᲯᲐᲠᲘᲡ ᲠᲔᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ. ფრანგულ გაზეთებში მოყვანილია ზოგიერთი დაწვრილებითი ცნობები საფრანგეთის ჯარის რეორგანიზაციის შესახებ. დივიზიების რიცხვი შემცირებულ უნდა იქნეს, მაგრამ რამდენათ, ეს ჯერ არ არის გამორკვეული; ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ პოლიტიკას დაადგება მომავალში გერმანია და როგორი ხელშეკრულებები დაიდება შეთანხმების სახელმწიფოთა შორის. ჯარში სამსახურის ვადა, ალბათ, ერთი წელიწადი იქნება. პროექტი სავალდებულოთ აღიარებს აგრეთვე რეზერვის ოფიცერთა ჯარში სამსახურს.

ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ. რუმე ტურკოეთისა და მისი რაიონის ქარხნების მეპატრონეთა სინდიკატმა თავის კრებაზე, 23 ოქტომბერს გადასწყვიტა შეაჩეროს მუშაობა დასახელებულ ქარხნებში. მიზეზათ მექარხნეები იმას ასახელებენ, რომ საფრანგეთის მრეწველობის სამინისტრომ არ მისცა მწარმოებლებს აღთქმული კოქი, ლითონი და სხვა ნედლი მასალა. მუშაობა შეწყვეტილია მთელ რიგ ცნობილ ჩამომსხმელ ქარხნებში.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ.

ინგლისის დეფიციტი. საინტერესო ცნობებს გვაწვდის ინგლისის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ ინგლისის სახაზინო კანცლერის მოხსენება, რომელიც მან თემთა პალატას წარუდგინა. მოხსენებაში მოყვანილ ანგარიშების თანახმათ მიმდინარე წლის ხარჯები მეტია ნავარაუდევზე 191.195,000 გირვ. სტერლინგით; შემოსავალი კი ნაკლებია ნავარაუდევზე 32.450,000 გირვ. სტერლ. ამრიგათ, ნავარაუდევ დეფიციტს ემატება კიდევ 223.465,000 გირ. სტ.; საერთო დეფიციტი კი უდრის 473.645,000 გ. სტერლინგს. ხარჯების მიზეზათ მომხსენებელი ასახელებს: სამხედრო პენსიებისა და საჩუქრების დანაშვნას, გაზრდილ ხარჯებს მილიციის შესანახავათ და სხვ. შემოსავლის სამცირის მთავარ მიზეზათ მას მიაჩნია ის გარემოება, რომ ზოგი შემოსავალი არ შეიძლება აღებულ იქნეს ამ წლის განმავლობაში, როგორიცაა მაგ. ავსტრალიის მიერ ხარჯების გადება ავსტრალიელ ჯარების შესანახავათ და სხვ. ასეთები. მომავალ წლის მარტის 31-ს სახელმწიფო ვალი 290,700 მილ. მარკა იქნება.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ.

საბჭოთა რუსეთის ცხოვრება. ინგლისური გაზეთი „ტიმეს“-ი ათავსებს ინგლისელ მუსიკოსის დიუკესის წერილებს საბჭოთა რუსეთის ცხოვრების შესახებ. გაზეთის სიტყვებით, დიუკესი არ ტრიალებდა კომისართა ოფიციალურ წრეებში, სადაც კომისრების სურვილის თანახმად მხოლოთ ის უნდა ნახო, რასაც კომისრები გიჩვენებენ; თავისი შთაბეჭდილებები მან გამოიტანა მასსასთან დაახლოვებით, თვით ცხოვრების დუღილის, პრაქტიკულ კომუნიზმის გაცნობით. რუსეთში არ მოიპოვება ისეთი ადამიანი, რომელსაც ლენინოზულათ სწამდეს კომუნისტური რეჟიმის განმტკიცება. თუ გარედან არ დამარცხდა ბალშევიზმი, იგი უსათუოდ შიგნიდან დაეცემა, რასაც დღესაც მოწმობენ აუარებელი ამბოხებებისა და შეთქმულებების მოწყობა. ამ შემთხვევაში საშინელი ის არის, რომ ამ შინაურ მოძრაობას სტიქიური, მოუწყობელი ხასიათი ექნება, რაც ყველაფერს გაანადგურებს და არც იქნება ვინმე ხელმძღვანელი, ვისაც შეეძლება სტიქიურ მოძრაობას ორგანიზაციული ხასიათი მისცეს ინგლისელის აზრით, რუსეთში სახალხო მოძრაობის წინამძღოლები არ მოიპოვებიან; ესენი ჩამოაშორეს მასსას ბალშევიკებმა. მიუხედავათ ამისა, მომავალი ბოლოს და ბოლოს მაინც საშუალო დემოკრატიულ მასსას დარჩება; მასსის პსიქოლოგიაში რევოლიუციამ დიდი ტეხილი მოახდინა, რაც აბსოლუტურათ შეუძლებლათ ხდის რუსეთში მონარქიის რესტავრაციას. რუსეთი თითქმის სავსებით მოწყვეტილია კულტურულ ქვეყანას. ავტორს მოჰყავს მაგალითი იმის შესახებ, თუ როგორ იტანჯებდენ პეტროგრადში შემოხვევით შემოტანილ გაზ. „ტიმეს“ ის ნომერს, რომლის ფასიც პირველ გამყიდველის ხელში 1000 მ. უდრიდა, მეორის—2 ათასს. შემდეგ 3 ათასს; უკანასკნელ პატრონმა არ მოისურვა გაზეთის გაყიდვა და აქირავებდა დღეში 100—300 მანეთად. მთავრობას და ხალხს შორისაც კი ღრმა უფსკრულია გათხრილი. ხალხი უკმაყოფილებას გამოსთქვამს, მაგრამ მართველები თავიანთ გეგმებს საშინელის სისასტიკით ანხორციელებენ. ამ მიზნით ისინი არავითარ საშუალებას არ ერიდებიან. ზინოვიევმა ერთ-ერთ კრებაზე შემდეგი განაცხადა: „ცარიზმი, რასაკვირველია, საზიზღრობა იყო, მაგრამ კარგი იყო მისი სახელმწიფოებრივი მექანიზმი“!.. და აი ასეთის მექანიზმის საშუალებით ფიქრობენ ბალშევიკები კომუნიზმის დამყარებას.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ. სტამბოლში მოსულ ცნობების თანახმათ უკრაინაში მზადდება სოც.-რევოლიუციონერთა და დიუკტორიის შეთქმულება. ს.-რევოლიუციონერებს განუსაზღვრელი თანხა გადაეცა, რის საშუალებითაც მათ უნდა მოაწყონ ამბოხება ლენინელთა ზურგში.

მოხალისეთა „რუსეთის“ ფინანსები. „გოლ. როსსია“-ს მოჰყავს ცნობები „დობროვოლია“-ს საფინანსო სამმართველოსი 1919 წლის „სახელმწიფო“ შემოსავლის შესახებ. პირდაპირი გადასახადიდან (აგრეთვე საბაჟოებიდან) შემოსავალი უნდა იქნეს: 1919 წ. 510 მილიონი მან, 1920 წ. 2 მილიარდი, არა-პირდაპირიდან არა ნაკლებ 18—19 მილიარდ მანეთისა.

ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ

მდგომარეობა სტამბოლში. სტამბოლში მეტათ გამწვავებული პოლიტიკური მდგომარეობაა. მომენტის საკითხი ფართე აზრთა გაცვლა-გამოცვლას იწვევს პოლიტიკურ წრეებში; თითქმის ყველა დარწმუნებულია იმაში, რომ აუცილებელია ფართე სახალხო მოძრაობა, რამაც დიდი ცვლილებები უნდა შეიტანოს ოსმალეთის ცხოვრებაში. ბევრ ადგილებში ხალხი შეიარაღებულია და მისი სულიერი განწყობილება მთავრობის წინააღმდეგაა მიმართული. სტამბოლში ცნობები მოდის, რომ მცირე აზიის სხვადასხვა ნაწილებში თავს იყრიან შეიარაღებული ძალები, რომელთაც გენერლები ხელმძღვანელობენ. მიუხედავათ იმისა, რომ სტამბოლში საქონელი საკმაოთ მოიპოვება, უაღრესათ განვითარებული სპეკულიაციის გამო ფასები საზღაპროა.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ.

აგრარული პოლიტიკა იტალიაში. მიწათ მოქმედების მინისტრმა კიზოკიმ განაცხადა, რომ იტალიაში უნდა შეიქნეს ისეთი პირობები, რომ იგი სხვა სახელმწიფოთა დაუხმარებლივ იკმაყოფილებდეს თავის მოთხოვნილებებს. საჭიროა წარმოების განვითარება, ტრანსპორტის საკითხის მოგვარება. ეკონომიურ აღორძინებას იტალია მეურნეობის აყვავებიდან უნდა მოელოდეს. მთავრობა 200 მილ. ლირით უკვე დაეხმარა მეურნეობას და შემდეგშიაც დაეხმარება მეურნეებს, რათა მათ ინტენსიური მუშაობა გააჩაღონ. მიწის დამუშავება ვერა სდგას სათანადო სიმაღლეზე და ამას უნდა მიეცეს საჭირო ყურადღება.

საერთაშორისო რევოლიუცია. ფინლიანდიის გაზეთმა „გელსინგინ სანომატმა“ მოახდინა ანკეტა გერმანელ დამოუკიდებლებს და კომუნისტებს შორის, საერთაშორისო რევოლიუციის საკითხის შესახებ. ახლახან გარდაცვალებულმა ჰაზემ დასმულ კითხვაზე უპასუხა, რომ მას არ სწამს სოციალური რევოლიუციის შესაძლებლობა იტალიაში და საფრანგეთში.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

IV

ლაშხეთიდან უკან დაბრუნებულებს, ჩოლურში საზოგადოების ყრილობა დაგვხვდა. აქ გვიამბეს ახალი ამბავი: ჩვენზე წინ ქუთაისიდან თავის სახლში დაბრუნებულიყო ერთი გარდაფხაძე, რომელსაც თან მოეყვანა მეუღლე, ქუთათელი ექიმი ხეჩინოვის ქალი. ამ გარდაფხაძის სვანები არ ეშდურიან და ერთი მეორეს თურმე უთხრეს: მოდი ერთი პატივი ვსცეთ, თოფი ვისროლოთო და მისცეს თურმე „ზალპი“. გარდაფხაძესაც თავისი დაეშართა, მაგრამ ფფრო ძვირათ თურმე მის მეუღლეს დაუჯდა ეს პატივის ცემა და „ზალპი“. იგი უცბათ მკვდრათ დაცემულა და ძლივს თურმე მოაბრუნეს ცოცხალ-მკვდარი.

კარგა ხანს ვესაუბრეთ ხალხს. გვითხრეს თავისი გასაჭირი, ყველაზე მეტათ სიშიშვლე გვაწუხებსო, შემოგვჩივლეს. ამ საზოგადოებაში მარტო „ისპანკამ“ 400 კაცა დე იმსხვერპლა, „ტიფი“ კი დევ სხვაა აქვე იყო სახალხო გვარდიის რაზეი გრ კვასტიანის მეთაურობით ჩვენი რჩევა: იარაღის აყრის, ჯარისკაცების ფრონტზე გასტუმრების და გადასახადის გადების შესახებ, ხალხმა მიიღო და შესრულებას დაგვპირდა

ცა შავად პირ შეკრული დაგვაურეგდა. ჟუჟუნა წვიმა აიაზმასავით ესხურებოდა ხალხს, რომელიც გამოგვეშვიდობა და შინისკენ გაემართა, ჩვენ ღამე ჩოლურში გავათიეთ. ტკბილი მასპინძლობა გაგვიწიეს იქაურმა ამხანაგებმა.

სვანეთიდან დაბრუნების შემდეგ ოყურეშისა და ზუბის საზოგადოებების ყრილობაზე დასწრება მოგვიხდა. ეს საზოგადოებები ვერ არიან კარგად მოწყობილი. ლეჩხუმის ერობას აზრათ აქვს ამ ორი საზოგადოების წვრილ ერთეულში შეერთება. ლობენ ამის გარშემო. ზუბელებს ზუბის ახლო უნდათ ეს ერთეული, ოყურეულები ამის წინააღმდეგი არიან. ორთავე საზოგადოების ხალხს მოეყარა თავი, მაგრამ ცალ ცალკე იდგენ, შეერთებული ყრილობის მოწვევა უმძიმდათ, ერთი მეორეს ედავებოდენ: არა თქვენ მოიწვიეთ აქეთ, არა თქვენო. ბოლოს ჩვენ დაგვიჯერეს, როგორც იქნა შეერთდენ. დიდხანს ვისაუბრეთ. წინეთ ეს ხალხი ლეჩხუმის ანარქიამ გაიტაცა. ეხლა ყოველივე ჩვენს ნათქვამს ყურადღებით ისმენდენ. თითონაც ბევრი რამ გვითხრეს თავის ჭირვარამზე. ყველა სხვაზე მეტის ინტერესით ეკიდებოდენ ლეჩხუმსა და ხონის შორის გზის შეკეთების საკითხს. გვითხრეს: თუ მთავრობამ ამ საქმეში დახმარება გაგვიწია, ის იქნება ჩვენი მხსნელი. ამ საზოგადოებებიდან ყოველგვარ ღონე მიცემობას ხონთან აწარმოებენ, ხონი არის ამათი ბაზარი. ეხლა გზა თურმე გაფუჭებულა, ხიდეები დანგრეულა. მუშაობაზე უარს ხალხი არ ამბობს, მაგრამ საკუთარი ძალღონით მთელი გზის შეკეთება არ შეუძლია. დეზერტირების ფრონტზე გაგზავნა თითონ ხალხს სურს. გადასახადს არავინ გაურბის. ოკუაზში სახმარ უბრალო ტყის მასალაზე ბაჟს დადება აქაც გვისაყვედურეს. ტელეფონის გარშემო მუშაობა ჩვენს დროს დაფარდა. ყველგან დიდია და სხვათა შორის აქაც ტანსაცმელის უქონლობით გასაჭირი. ჩვენი ყრილობის დღე ძველი სტილით 8 სექტემბერი იყო — ღვთის მშობლობა. დღეობები ლეჩხუმში კიდევ დიდ პატივდებაშია. ჩვენი ყოფილობის ადგილს ზოგი სოფლებიდან შეკრეფილი ხალხის მხიარული სიმღერა მოისმოდა. ბევრს ეჩქარებოდა ამ „ბედნიერი“ ადგილისაკენ და ჩვენც გამოვემშვიდობეთ ხალხს. მამა ივანე მარგიანი დამიმოწმებს, რომ საკურთხევლა და დრამის საქმეში სასული ერო წოდებასთან პირშაყათ ვარ. მაგრამ ამან არ დაუშალა და უხვი, სტუმართ მოყვარე, ნაცნობი მღვდლები გამოგვიჩნდა. ერთმა მათგანმა გამომშვიდობებისას რაღაც ლექსი იმღერა, რომელიც ბოლოში ასეთავდებოდა: „დღეს აქანე ვიქეიფოთ, ხვალე იქინეო“.

ჩვენ ბიჭებს გაეცინა. ალბათ იფიქრეს: ეს „კუტორი“ ხალხი ასე კარგა ხანს ვერ ვაქეიფებთ ამ ხუცესსო.

ხალხის ყურადღება ეხლა შეჩერებულია გადასახადზე. ამის გარშემო ათას გვარ ჭორებსა და პროვოკაციას აწარმოებენ.—ეს ბაჟი არის ძაღლებზე, ქათმებზე, კატებზე, კვერცხებზე და სხვა ასეთებზე დადებულიო, ჩასძახიან ხალხს ხულიგანები. ეს ჭორი ხალხის ხმას ერთიმეორეში გადაქცევს და საშინელი სისწრაფით ერცელდება. უეშველად ჩარევა და პროვოკატორებთან ენერგიული ბრძოლა არის საჭირო.

დერჩის საზოგადოებაში მიტინგზე კითხვა დავისვეს: საქსოვ მანქანებს (ქსელებს) რათ ვგართმევთ, ამას როგორ მოველოდითო. ამ სექსოვების ჩამორთმევაზე ლაპარაკობს ყველა, დიდი და პატარა მთელს რაიონ ლეჩხუმში, ვგონებ იმერეთშიაც. ვერავინ ვერ ამბობს, სადან ვინ იყო, ისე კი ხალხის ხმას დააქვს: თითქოს ვიღაც კომისარი სოფელში საქსოვზე (ქსელი) მოუშავებია ქალს შევარდნია, საქსოვი დაუმტვრევია და უთქვამს: ნება არ არისო ეს, ეს ჭორი საშინელ საწამლავათ დააქვს ხალხის ხმას და იძახიან: ეს რა უბედურობა მოგვეწროვო.

დერჩში ხალხმა გვთხოვა მთავრობასთან შუამდგომლობა ზოგიერთი ხიდის მასალის შესახებ. აპირებენ რიონზე ხიდის გაკეთებას, რომლის გარეშე საზოგადოების ერთი ნაწილი მოწყვეტილი რჩება მეორეს.

ამ სახით მთელს მაზრაში ხალხი ყურს უგდებს მთავრობას, კმაყოფილია ერობის მუშაობით, მხარს უჭერს და უყვარს გვარდია, მუშაობს ადმინისტრაცია, არას დრეს ისე პატივცემული ლეჩხუმის მაზრაში პატიოსანი შრომა არ ყოფილა, როგორც დღეს თუ მაინც ისმის საყვედური უწესრიგობაზე და ანარქიაზე, ეს იმ ხალხის ხმაა, რომელიც მუშაობას და ოფლს ვერ შეურიგდა, ავაზაკობას და კაცის კვლას ვერ დაეთხოვა, დიდი, გალესილი ხანჯალი ვერ ჩამოიხსნა. ამ ხალხს მემამულეების მიწების ჩამორთმევამ გული მოუკლა, ლეჩხუმის გლეხკაცობის შეკავშირებას თვალი ვერ გაუჩერეს, სამშობლოდან გაიქცენ და ეროსტო ონიანის მკვლელობის მსგავს მოვლენებზე ოცნებობენ.

რ. ყიფიანი.

ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐᲙᲔᲜ

(დღიურები)

12 ნოემბერი.

მეჯვრისხევში.

ხალხის საერთო სულიერი განწყობილება აქა-იქ მაინც შერყეულია, ხალხი უკმაყოფილია იმით, რომ ადგილობრივი მთავრობა სასტიკ ზომებს არ იღებს დამნაშავეთა წინააღმდეგ. ზოგიერთ ადგილობრივ მოხელეებზედაც გულ-ნაკლული არიან.

— როგორ მოგწონთ ეგ ამბები?—შეეკითხეთ ერთ ბაღარა სოფლელს.

— რაღა მოს წონია, ბატონო, ყოველ დროს უწესიერა.. ღარ გვაყენებენ ყაჩაღები და ავაზაკები.

— ყაჩაღები ბევრია თქვენში?

— ვისაც შრომა ეზარება თოფი უკავია ხელში და „ბოლშევიკი“ ვარო იძახის. შიშით ენა ვეღარ ამოგვიღია.

— მარტო ავაზაკები და ზარმაცები „ბალშევიკობენ“?

— წინეთ აგრე იყო, ეს რამოდენიმე თვეა ზოგიერთი ვაჭრებიც აყვა, ისინიც „ბოლშევიკობენ“. სოფელში დადიან. სოფლის ნაწარმოებს ყიდულობენ და ხალხს მოუთხრობენ, რომ საქონელი იმიტომ აღარ არს და იმიტომ აღარ მოგვაქვს, რომ თქვენი მთავრობა გამოეყო სხვა მეზობელ ქვეყნებს. გზები დაკეტა, ჩვენ ნებას აღარ გვაძლევს და თვითონ არაფერს აკეთებს.

— ბევრია ასეთი ვაჭრები?

— თითქმის ყველა მსხვილი, მდიდარი ვაჭარი.

— ხალხი რას ამბობს?

— ხალხმა არაფერი იცის, ბატონო, წინეთ მოქადაგენი დდიოდენ, ეხლა კი დიდი ხანია აღარ გვინახავს. ისე ხალხი ნამტარი უკმაყოფილია. წინეთ გვეუბნებოდენ სალდათობა არ იქნებაო. ტყე და მიწა თქვენია, დაეხლა ამაზედაც გაურკვეველი არის. საჭირო ხალხმა იცოდეს, რა რისთვის ხდება. ადგილობრივი მოხელეები ძველ მოხელეებსავით იქცევიან. სამართალიც მოუწყობელია. ეხლა ავიჩჩიეთ ერობის კაცები. შეუდგენ საქმეს, მაგრამ აუხირდენ ცალკე ვაჭრები, ცალკე ყაჩაღები და ვერაფერს აკეთებენ.

— მოსავალი როგორი იყო?

— მოსავალი საშუალო. არაუჭირს რა.

— ხალხი წინააღმდეგია გადასახადი გადაიხადოს სახელმწიფოს სასარგებლოთ.

— არა, ბატონო, ხალხს ფულიც აქვს, მხოლოდ „ეუბნებიან, „ბალშევიკური“ მთავრობა რომ იყოს, გადასახადს არავინ გადიხდის, პირიქით ხალხს მისცემს ფულსო და ზოგიერთს ეგ მართალიც გოხია.

— არეულობა რომ დაიწყო, მთებიდან ჩამოსული ოსები რას აკეთებდენ?

— ოსები ძარცვავდენ, იარაღი გაჰქონდათ, ისევ ბრუნდებოდენ და მათ ეუბნებოდენ, რომ ეხლა საქართველოს მთავრობა ჩამოაგდეს და გორის ქ ნება ჩვენია, წაეიდეთ და დავირიგოთო. ისინიც ემზადებოდენ.

— მიწის საკითხი როგორ არის?

— ცუდათ, ბატონო, არეულია საქმე. ერობა ამ ბოლო დროს შეუდგა მოწესრიგებას. ტყის შესახებ მითქმა-მოთქმაა. საჭიროა ჩქარა დაურიგდეს ხალხს.

— დარიგების მოსურნე ხართ?

— დიახ!

— საკუთრებათ მოცემისთვის ფულს გადაიხდით?

— ფულის გადახდა ყველას შეუძლია, მოხარული ვართ, ამბობენ: ფულს რომ მივსცემთ, მერე ვერავინ წაგვართმევსო.

საღამო მოახლოვდა. ახალქალაქის რაიონიდან მეჯვრისხევში მოვიდა გ. ხიმშიაშვილი, რომელმაც იქაური ამბები მოიტანა.

საველე სასამართლომ კი ერთი დამნაშავის საქმის გარჩევა მოასწრო. მეჯვრისხევში შესდგა დროებით საგანგებო შტაბი, რომელსაც დაეკალა გაქცეულთა დაპატიმრება, ზოგიერთი დაჭერილთა საქმის გამორკვევა, დეზერტირთა მოგროვება და სრული განიარაღება.

ღამის 8 საათზე გორისაკენ მიმავალ ბორჯომის სახალხო გვარდიის შტაბის თავმჯდომარეს ვანო ხმალაძეს და მის თანმხლებელს ტყიდან რამოდენიმეჯერ ესროლეს, მაგრამ ეშველეგოთ.

---

12 ნოემბერი.

საველე შტაბმა ღლით ცნობა მიიღო, რომ ატენის ხეობაში ღალების მომკრები რწმუნებული დაატყვევეს. მილიციონერებს იარაღი აჰყარეს და ყაჩაღები ბანდებს თავს უყრიან, იარაღს აგროვებენ და სხვა. სურამიდან იტყობინებოდენ, სურამის მახლობლად ზეკოტასთან ბრბო გამოჩნდაო.

ქარელიდან ცნობა იყო—ბრბომ სოფელი აიკლო, ქეიფობენ და ისვრიან. გაიტაცეს გვარდიელი და სხვა.

გომიდან იტყობინებოდენ, რომ ალის სადარაჯოდან „ბანდამ“ მილიციონერი გაიტაცა, რაზმელები დაეედევნაო. ყველა სოფლებიდან ყაჩაღებს ქუდზე კაცი გაურეკიათ, თავს უყრიან გუშინ საღამოს გომს შეიარაღებული ბრბო ოთხი ვერსით დაუახლოვდაო.

ყველა მხარეებიდან ასეთი ცნობები მოდიოდა. ასე რომ დღე ნერვიული იყო. ღამამ მოწყნენდილი და ცივი ჩამოდგა. ცის უკაზღვრო სივრცე ვარსკვლავთა ჯარით შეიმოსა. დაწყნარებულ მიდამოს ესმოდა ცხენოსან და ქვეით გვარდიელთა შეთანხმებული სიმღერა.

ნაწილი რაზმისა ქარელისაკენ წავიდა, მეორე ნაწილი კი ხაშურით ხცისისაკენ

ღამის 4 საათზე, საჩქარო თათბირი იყო სხვადასხვა მხარეებიდან ცნობები მიიღო რაზმის უფროსმა.

ᲥᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ

13 ნოემბერი.

10 საათი იყო, როცა სოფ. ოსიაურში შევედით. სოფლათ ცრული სიწყნარე, ხალხი მინდორ ველებში მუშაობდა. ოსიაურის წარმომადგენელმა, ხაშურის რაიონის თემის წევრმა, მოახსენა რაზმის უფროსს, რომ ხალხმა დაადგინა ყაჩაღები და „ბალშევიკები“ სოფელში არ მიიღონ, მხოლოდ ახალგაზრდებმა ერთი მეორეს შეფიცეს, არ გაერიონ მთავრობის საწინააღმდეგოთ მოძრაობაში და თანამედროვე ანარქიის მეთაურებს ბრძოლა გამოუცხადოთო.

ოსიაურიდან ოსიაურის ტყეებით ხცისისაკენ გავსწიეთ. ნისლმა თან და თან იმატა მტკვრის ცივი ნიავი გვიბერავდა. ხცისის სოფლები ხეობების ფერდოებზე გაშენებული. ღამაზ ქართლის სოფლებს თავს საგვერდწითლოს, ყურა ქედის ტყეები, ღორნი აკალის წერტილის მწვერვალი და შორეული ქარტას მაღალი თოვლით მოსილი სალი კლდეები დაჰყურებს.

მდინარე მტკვრის გაღმით რაზმის მოწინავე ავანგარდს „ბანდიტების“ მზვერავებმა სროლა აუტეხეს, ეს მოულოდნელი იყო, რადგანაც ხცისის სოფლებში სრულიად არაფერს მოველოდით და რაზმის მსვლელობას სხვა მხარე ჰქონდა მხედველობაში.

მდინარის გაღმით გასვლისას წინ ფარშემკრთალი, ასი ორმოცი წლის კაცი შეგვეჩეხა და აკანკალებული გვითხრა;—ფრთხილათ, ბატონებო, ნუ მიხვალთ, სოფელში დიდ ძალი შეიარაღებული ოსები და ყაჩაღებია და მარცხი მოგელითო.

თფილისის ცხენოსანი გვარდია ელვის სისწრაფით საბხედრო მწკრივებათ გაიშალა სამი მიმართულებით, მარცხნივ, მარჯვნივ და ცენტრში. რაზმმა რამოდენიმე წამში მდინარე მტკვრის ასასვლელი სოფლის პირველი მაღლობი დაიპყრა. მოწინააღმდეგე „ბანდიმა“ უკან დაიწყეს დახევა და სროლა აუტეხეს რაზმს.

11 საათს და 45 წუთზე ყოველ მხრივ სროლა იყო გაძლიერებული. რაზმის ნაწილები წინ მიიწევდა, „ბანდიტები“ მაღლობებში ავიდენ და ტყიდან განაგრძეს სროლა. მარცხენა ფლანგზე მოწინააღმდეგეთა გაქცევის დროს შეიპყრეს სამი აქტიური მებრძოლი, რომლებიც აღმოჩნდა ნასალდათევი პირები. ცენტრში დაატყვევეს, 30 დე ოსი, რომლებიც მთებიდან გამოერეკათ „ბანდის“ მეთაურებს.

სროლამ გასტანა 2 საათი და 35 წუთი. რაზმმა სოფელი მთლიანათ ხელში იგდო და მთებისაკენ გაქცეულ ავაზაკებს დაედევნა. მთებიდან ჩასაფრებულები პარტიზანული ბრძოლის ტაქტიკას დაადგენ.

ნახევარი საათის შემდეგ ისევ სროლა განახლდა. ავგერდ წითლო, ყურაქედის ტყის მიმართულებით. სამი საათიდან ნისლი გადაიღო. სროლა გაგრძელდა. არე-მიდამოს კავკასიონის თოვლით გათეთრებულმა მთებმა გაბრწყინდეს. სოფლებში მოხუცებს გარდა თითქმის ალარავინ სახლია. ეხლანდელი ბრძოლები და [illegible] გაზრდა. აფიცრები [illegible] ცებით, [illegible]

4 საათზე რკინის გზიდან ჯავშნიან მატარებლიდან რამოდენიმეჯერ ზარბაზნის ხმა მოისმა ხცისში ქარელის მიმართულებით რამოდენიმეჯერ სროლის ხმა იყო. დაღამდა. სროლის ხმა მიწყსტდა, იგი შეიცვალა დრო გამოშვებით სროლაზე.

ხცისის ამბები ჩვენს გაკვირვებას იწვევდა. ხცისის შესახებ არავითარი ცნობები არ იყო არსად, მხოლოდ ცხენოსან გვარდიის შესვლისას ბრძოლა გამოუცხადეს. ყველაფერი ეს მოულოდნელი იყო. გამოირკვა, რომ ხცისში დიდი ამბები იყო. 9 ნოემბერს, დილით ოსების და ადგილობრივი ქართლის ყაჩაღები შეიკრენ ხცისში. მთელ მხარეს ალყა შემოარტყეს, გზები შეკრეს, დაატყვევეს საზოგადო მოღვაწეები, სკოლებიდან გარეკეს მოწაფეები და იქ დაბანაკდენ. შეუდგენ მობილიზაციის მოხდენას, სურსათის მოგროვებას და მზადებას. დაშინებული ხალხი ვერაფერს ბედავდა. თავდამცემთ თან ეახლა ცხენოსანი რაზმი. შეადგინეს მებრძოლი პოლკი, დაანაწილეს გუნდებათ. დაიწყეს სამხედრო მეცადინეობა და გამოაცხადეს: ქორდანია გაიქცა, საქართველოს მთავრობა დაეცა. სოფის გვარდია მოიხსნა და წამოვიდა. ცხინვალი მოდის ხაშურის ასაღებათ და „ბალშევიკურმა“ მთავრობამ დაიწყო მოქმედებამ. კრებები მოუწყვიეთ ძალით. ზოგიერთებისათვის, ვისაც უარი განუცხადებია ჯარში წასვლაზე, ეცემიათ, ზოგი დაუტყვევებიათ. შესდგომიან სათადარიგო პუნქტის ცხობას. თოფი და პატრონები ყველასათვის ჩამოურთმევიათ. მოუწევიათ მთებიდან უიარაღო ოსები. სხვა დასხვა მხარეებიდან „ბალშევიკური“ ელემენტები.

მოძრაობას, ტყეთ ჩავარდნილ ოსების გადმოცემით, ხელმძღვანელობდა ამ რამოდენიმე ხნის წინეთ ვლადიკავკაზიდან ჩამოსული ოსი, რომელსაც თან ახლავს ცნობილი ყაჩაღი ბუბრუკიძე, ბოჩიკაშვილი და უცნობი მოლაპარაკეები.

ადგილობრივ გამორკვევით, უცნობი ოსი ვლადიკავკაველია. ინტელიგენტი. ქართული არ იცის. კრებებზე ლაპარაკობდა. როგორც „ბალშევიკი“, ოსურათ და რუსულათ. მისი თანმხლებლები ხალხს მის ნალაპარაკევს უთარგმნიდენ. ბევრ სოფლებში გაგზავნეს რაზმი და მოაგროვეს იარაღი და ზოგიერთები წამოიყვანეს ტყვეთ. შეუგროვებიათ დიდ ძალი ბრბო და 12 ნოემბერს ღამით აპირებდენ გალაშქრებას ხაშურის ასაღებათ. უფროსებს საიდანაც ცნობა მიეღიათ და რაზმისთვის გამოუცხადებიათ, ხვალ საღამოს გავალთ ხაშურისაკენო. ზოგიერთ სოფლებს ბრბოს მეთაურებისათვის უარი უთქვამს. ახალ სოფელს იმათ მოციქულებისათვის განუცხადებია: ჩვენ არავითარი საქმე არ გვაქვს თქვენთანო.

ამის გამო 12 ნოემბერს ღამით დაუტყვევებიათ ახალსოფლის მოწინავე პირი, ხალხში კარგათ ცნობილი ანტონ სკანაძე. წაუყვანიათ ტყეში, უწამებიათ და დაუჭრეხიან.

ს. ხცისი. **ობოლი მგზავრი.**

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ცხოვრებიდან

აუტანელ პირობებში უხდება მეცადინეობა ჩვენს სტუდენტობას. ღღეგანდელი ზდაპრული სიძვირე იძულებულს ჰხდის სტუდენტობის დიდ უმრავლესობას უპირველეს ყოვლისა იფიქროს კუჭზე და მერმეთ, თუ დრო გადარჩა, მოღლილ-მოქანცულმა მიაშუროს უნივერსიტეტს და ლექციები მაინც მოისმინოს. ცხადია, თუ როგორ მიაღწევს სტუდენტი ასეთ პირობებში თავის მიზანს და როგორ მოახერხებს ის მეცნიერების შეთვისებას. მაგრამ დღევანდელ პირობებში ხალხის ფიზიოლოგია ყველაფერს შეეჩვია და ძალუნებურათ ასეთ არანორმალურ მოვლენებსაც ურიგდება. ამა, სხვა პირობებში როგორ შეიძლება წარმოიდგინოთ, რომ სტუდენტები მსახურობდენ და ამავე დროს სწავლობდენ. ორი კუდღლის მდევარი, ცხადია, ვერც ერთს ვერ დაიჭერს. სტუდენტთა ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება, როგორც მთელი საზოგადოებისა, დამოკიდებულია ცხოვრების გაიაფებაზე და უკანასკნელი კი საერთაშორისო მდგომარეობის შეცვლაზე, მაგრამ ეს ნებას არ აძლევს სტუდენტობას გულზე ხელდაკრეფილი შეყურებდეს მომავალს. საჭიროა დარაზმვა, შექმნა მჭიდრო ორგანიზაციებისა, დაარსება სხვადასხვა დაწესებულებისა, რომ

ვალში, თუ კი სურვილი იქნება, სათანადო სიმაღლეზე შეიძლება დადგეს. მეორე ნაბიჯის გადადგმას ეხლა ეპირებოდა სტუდენტობა, მაგრამ, სამწუხაროთ, აქ უკვე იჩინა თავი პარტიულმა კინკლაობამ და საქმეც შესამჩნევათ შეფერხდა. ეს მოხდა სტუდენტთა კოოპერატივის დაარსების ირგვლივ. სტუდენტთა კავშირის გამგეობის მიერ გამოყოფილი ჯგუფი კარგი ხანია შეუდგა კოოპერატივის დაარსებისთვის მუშობას და შეასრულა ყველა ის ფორმალური მხარეები, რაც აუცილებელია კოოპერატივის დაარსებისთვის. კოოპერატივის პირველი, დამფუძნებელი კრება მოხდა 2 ნოემბერს, რომელზედაც მოესწრო მხოლოდ წესდების დამტკიცება, გამგეობის არჩევნები კი გადაიდო შემდეგისთვის. მეორე კრება მოხდა 9 ნოემბერს, სადაც არჩეულ იქნა გამგეობა და სარევიზიო კომისია. კრებას დაესწრო 212 წევრი. არჩევნები მოხდა პროპორციონალური სისტემით. წარმოდგენილი იყო სამი სია: სოც.-ფედერალისტების, სოც. დემ. და ნაც. დემ. ხმები განაწილდა შემდეგი სახით: სოც.-ფედ. მიიღეს 100 ხმა, სოც.-დემ. 61, ნაც. დემ. 51. გამგეობაში არჩეულ იქნა 7 კაცი. 3 სოც. ფედ., 2 სოც. დემ. და 2 ნაც.-დემ. სარევიზიო კომისიაში 3 კაცი, თითო პარტიიდან თითო კაცი. ფედერალისტები ძალიან უკმაყოფილო დარჩენ არჩევნებით, რადგან გამგეობაში აბსოლიუტური უმრავლესობა უნდოდათ გაეყვანათ და კრების უმრავლესობამ კი ეს არ ინება და ისინი გულნატეხი დასტოვა. ფედერალისტებმა განიზრახეს არჩევნების ჩაშლა და თუ ეს ვერ მოახერხეს საზოგადო კრებაზე, ჩინებულად შეასრულეს ფრაქციის დავალებით ახლად არჩეულ კოოპერატივის გამგეობის პირველ სხდომაზე. საზოგადო კრებამ დამტკიცა გამგეობაში ორი კაცი ყოფილიყო ჯამაგირიანი, რომელთაც მუდმივად მოუწევს მუშაობა კოოპერატივში, ესე იგი, თავმჯდომარე და მდივან მოლარე. (უკანასკნელი ორი თანამდებობა უნდა ეკისრებია ერთ კაცს.) ამ გვარად კოოპერატივის გამგეობის პირველ სხდომაზე, როდესაც ნაწილდებოდა თანამდებობანი, ესფერები მაგრად წაეპოტინენ ორივე ჯამაგირიან თანამდებობას, თავმჯდომარის და მდივან მოლარისას და განაცხადეს, რომ ისინი ხსენებულ თანამდებობას არავის დაუთმობდენ. ასეთი წინადადებით შემოვიდენ მაშინ, როდესაც 7 კაცში, მხოლოდ სამი კაცია მათი. ამასთან ერთად ისინი თავის წინადადებას მით ასაბუთებენ, რომ თითქოს ისინი უმრავლესობის წარმომადგენლები იყვნენ და ეს მაშინ, როდესაც მათ ხმა მისცა 100 წევრმა და მათ წინააღმდეგ კი 112. ჩვენი გაფრთხილება, ესფერებს ებელმძღვანელათ საქმიანობის პრინციპით და დაკმაყოფილებულიყვენ თავმჯდომარეობის თანამდებობით, არ მიიღეს და ამგვარათ გამგეობა გადამდგარიყო, გაზოგავდა ეს ... ...